სპორტიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 25 ივნისი 2005 №142 (2465) ფასი 50 თეთრი

კალაძეს ბაიერნი ეხსენებეს

წუხელ ერთ-ერთმა იტალიურმა ვებ-გვერდმა ასეთი ცნობა გაავრცელა: „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს თუ ახალ კონტრაქტზე ვერ შეუთანხმდა, მაშინ იტალიური კლუბი კალაძეს აუცილებლად გაყიდის. იმავე წყაროს თანახმად, მისი ახალი გუნდი მიუნხენის „ბაიერნი“ იქნება.

კახა კალაძეს „მილანთან“ კონტრაქტი 2006 წლის 30 ივნისს ეწურება.



რად უნდათ მდიდრებს კლუბები?

ფულიანი, მამაცი ან სულელი

10



ბრძოლა ბრძოლამდე

ორი ჩხუბი ერთი ქამრის გამო

15

ქართული წილი: დინამოს ლევადია, ლოკომოტივს ბანანცი, ტორპედოს ბატე



ევროსარბიელზე თავდაგულებული გუნდები გუშინ შვეიცარიულ ნიონში დააწყვილეს. ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქედ ესტონეთში ნაპირველები „ლევადია“ ერგო. ესტონური ბარიერის დაძლევის შემთხვევაში კახა ცხადაძის გუნდს მეორე ეტაპზე დანიურ „ბრონდბიუსთან“ მოუწევს საქმის დაჭერა. შეგახსენებთ, რომ დანიის ჩემპიონს მიქაელ ლაუდრუპი წვრთნის. უეფასთასელ ქუთაისის „ტორპედოს“ კი წილისყრამ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბელარუსული ბატე შეჰყარა, ხოლო დედაქალაქურ „ლოკომოტივს“ სომხური „ბანანცი“.

შევნიშნოთ, რომ სამივე ქართული კლუბი პირველ მატჩებს სტუმრად გამართავს. ჩემპიონი „დინამო“ ტალინში 13 ივლისს ითამაშებს. „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“, შესაბამისად, ბორისოვოსა და ერევანში 14 ივლისს გააგორებენ ბურთს.

მეოთხე ქართული გუნდი, რომელსაც წლეულს ევროსარბიელზე თამაშის უფლება ერგო, „ვიტ ჯორჯიაა“. ვიტელებმა ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი შეხვედრა 1:2 წააგეს უნგრულ „ლომბარდ პაპასთან“. ხვალ კი „ეროვნულზე“ საპასუხო მატჩია პაპელები თბილისს დღეს ესტუმრებიან.

შარშან დინამოელი მიხეილ კაკალაძე თბილისში გაცნობილ ბატე-ს შესაძლოა ქუთაისშიც შეხვდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2005–2006

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

დინამოს მეტოქე

მაარდუდან ტალინამდე

დინამოს მეტოქე შვილთაშვილად ერგება

80 წლის თბილისის „დინამოს“ მეტოქე სულ შვიდი წლისაა, 1998 წელს დაარსებული კლუბი „ლევადია“. მაშინ ფირმა „ლევადიამ“ ვისი პრეზიდენტიც ვიქტორ ლევადაა, გაკოტრების პირას მყოფი მაარდუს „ოლიმპის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა და წლის ბოლოს გუნდს სახელწოდებაც გამოუცვალა. ასე შეიქმნა მაარდუს სპორტული კლუბი „ლევადია“. მოგვიანებით, უფრო სწორად შარშან, „დინამოს“ მეტოქე ტალინურ „ლევადიასთან“ გაერთიანდა და ახლა უკვე ესტონეთის დედაქალაქის კლუბად იწოდება.

ლევადიელებს, მართლაც საამაყო შვიდწლიანი ისტორია აქვთ: სამგზის ჩემპიონები, სამგზის თასის, ერთხელ ლიგის თასის და ორჯერ სუპერთასის მფლობელები არიან.

საერთაშორისო დებიუტი „ლევადიას“ რუმინულ „სტიაუასთან“ ჰქონდა — ესტონელები სტუმრად 1:4 დამარცხდნენ, შინ კი 0:3. სამაგიეროდ, „ლევადია“ ქვეყნის ჩემპიონატში უკონკურენციო იყო, 2000 წელს მთელი 19 ქულით ჩამოიტოვა „ფლორა“ და ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. სწორედ 2000 წელს მოახერხა „ლევადიამ“ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვაც — ესტონელებმა უელსური „ლანსანტ-ფრეიდი“ (2:2 და 4:0) დაამარცხეს და მომდევნო წრეში დონეცკის „შახტარს“ დაუპირისპირდნენ. უკრაინელებმა მეტოქე არ დაინდეს — 4:1 და 5:1 გაანადგურეს. სწორედ „შახტართან“ წაგების მერე დაითხოვეს პოსტიდან „ლევადიას“ პირველი მწვრთნელი — სერგეი რატნიკოვი. შედეგად, მაარდუს „ლევადიამ“ ესტონეთის ჩემპიონის ტიტულიც დაკარგა — ტალინურ „ლევადიას“ დაეჩაგვრინა და ოდენ ბრინჯაოს გამორჩა. ასევე წარუმატებელი იყო „ლევადიას“ გამოსვლა ევროსარბიელზეც: „დინამოს“ მეტოქე ირლანდიურ „ბოჰემიანსს“ შემოემარცხა. კლუბში საქმეები აირია, ხელმძღვანელობაც კრიზისიდან გამოსავალზე დაფიქრდა და მწვრთნელად ფინელი პასი რაუტაინენი მიიწვია. მწვრთნელის შეცვლამ „ლევადიას“ კარგი არაფერი მოუტანა და ფინელი მალევე დაითხოვეს — ის იტალიელმა ფრანკო პანკერიმ შეცვალა, თუმც „ლევადიას“ ვერც მან ახეირა და გუნდი უკვე ტარმო რუუტლის ჩაბარეს, ეს 2003 წლის ზაფხულში მოხდა და დღემდე კლუბს სწორედ რუუტლი თავკაცობს. სხვათა შორის, ტარმო რუუტლი „ლევადიამდე“ ესტონეთის ნაკრების მწვრთნელი იყო.

საფეხბურთო სეზონში არც რუუტლის გაუმართლა. მეტიც, „ლევადია“, რომელიც იქამდე სულ პრიზიორთა შორის გახლდათ, ამ სპეციალისტის ხელში მეხუთე ადგილზე გავიდა.

2004 წელს უკვე ტალინური „ლევადიას“ ევროდებიუტი შედგა. უეფას თასზე ტალინელები ისევ ირლანდიურ „ბოჰემიანსს“ დაუპირისპირდნენ და რევანშიც აიღეს — 1:1, 3:1. საინტერესოა, რომ „ლევადიამ“ სტუმრად მოიგო.

შემდეგ ეტაპზე ესტონელთა მეტოქე ნორვეგიული „ბოდიო გლიმტი“ იყო. „ლევადია“ სტუმრად 1:2 დამარცხდა, შინ კი 2:0-ს იგებდა, მაგრამ ნორვეგიელებმა ერთი საპასუხო გოლი სულ ბოლო წუთზე გაიტანეს და მერე პენალტებით მოიგეს კიდეც.

„ბოდიო გლიმტთან“ მარცხის შემდეგ „ლევადია“ რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, მათ ნაცვლად კი ტარმო რუუტლიმ ახალგაზრდები მიიწვია. მცველი ტიჰონ შიშოვი, ნახევარმცველი კონსტანტინ ვასილიევი, თავდამსხმელი ატს პურიე და მეკარე არტურ კოტენკო.

ამჟამად „ლევადიასა“ და „დინამოს“ ძველ ნაცნობ ტვმკ-ს საერთო, „კადრიორუს“ სტადიონი აქვთ და ჩემპიონატის საშინაო მატჩებსაც რიგ-რიგობით თამაშობენ. თუმც ახლა როგორ იქნება, საკითხავია. საქმე ისაა, რომ „ლევადიამ“ „დინამოს“ 13 ივლისს უნდა უმასპინძლოს, 14-ში კი ტვმკ-მ უეფას თასზე ფინურ „მიუპას“. ამ ამბავზე გუშინვე დაიჩივლა „ლევადიას“ დირექტორმა *იური ჩურილკინმა*, რომელსაც ესპანეთში დავუკავშირდით და კენჭისყრის შედეგების კომენტარი ვთხოვეთ:

— ესპანეთში საკლუბო საქმეებზე ვარ, „დინამოსთან“ მატჩამდე მომზადებას სწორედ აქ ვგეგმავთ. მომავალ მეტოქეზე რა ვთქვა — სახელი ყველაფერზე მეტყველებს. „ლევადია“ უდიდესი ტრადიციების გუნდს შეხვდა. „დინამოში“ ბევრი მეგობარი მყავს. თავის დროზე, როცა ევროტურნირებისთვის თბილისელები ესტონეთში ემზადებოდნენ და სპარინგპარტნიორად „ლანტანა“ ეგულებოდათ, სწორედ იმ კლუბში ვმუშაობდი. სასიამოვნოა, რომ მეგობრებს ერთხელაც შევხვდები, თუმც წმინდა სპორტული თვალსაზრისით „დინამოს“ მეტოქეობას სხვა გუნდი მერჩივნა.

— ანუ ფავორიტად „დინამოს“ თვლით?

— არა, ეს არ მითქვამს. „ლევადია“ უბრძოლველად არაფერს დათმობს და შემდეგ ეტაპზე გასვლას ეცდება. თუმცა ვიცი, სერიოზული მეტოქე გვყავს. ცუდი კი ისაა, რომ „ლევადიამ“ პირველი მატჩი შინ უნდა ითამაშოს.

— ცუდი რატომ არის?

— რაც უნდა ვილაპარაკოთ, გამარჯვებული მაინც საპასუხო მატჩის შემდეგ ირკვევა და ამ მხრივ მასპინძელს აქვს უპირატესობა. თანაც, როგორც ვიცი, ტალინის ტვმკ 14 ივლისს ასევე შინ ეთამაშება ფინურ „მიუპას“. ჩვენ კი საერთო სტადიონი გვაქვს. გამოდის, პირველი მატჩი „ლევადიამ“ ან ტვმკ-მ სტუმრად უნდა ჩაატაროს. ეს ამბავი უეფას გასარკვევი იქნება.

— „დინამოს“ ხელმძღვანელებს ჯერ არ დაკავშირებიხართ?

— არა, მაგრამ დღეს-ხვალ ვისაუბრებთ.

როგორც მოგვიანებით, თბილისის „დინამოს“ მმართველმა დირექტორმა *ბუბა ტყავაძემ* გვითხრა, კენჭისყრას „ლევადიას“ არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია. ჩვენებიც მხოლოდ ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის მუშაკებს შეხვდნენ და ბუნებრივია, ფედერაციის ხალხთან „დინამო“ საორგანიზაციო საკითხებზე ვერ მოილაპარაკებდა.

— რაც უნდა იყოს, „ლევადია“ თავის ქვეყნის ჩემპიონია და სერიოზულ მეტოქედ ვთვლი, თუმც შეიძლებოდა, უფრო ძლიერი გუნდიც შეგვხვედროდა. დანიურ „ბრონდბიუზე“ ჯერ ვერაფერს გეტყვით, ჩვენი პირველი მეტოქე „ლევადიაა“. ისე კი, კენჭისყრის შედეგებით კმაყოფილები ვართ — გვითხრა ბუბა ტყავაძემ, რომელსაც გუშინ ნიონში დავუკავშირდით.

...და რას ფიქრობს „დინამოს“ მწვრთნელი *კახა ცხადაძე?*

— ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ძირითადად თანაბარი ძალის გუნდები არიან. შესაძლო იყო, „ლევადიაზე“ სუსტი მეტოქე შეგვხვედროდა, მაგრამ მოულოდნელიც არაფერია. ესტონეთში ფეხბურთი სწრაფი ტემპით ვითარდება და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ესტონეთი ადრე ჩამორჩენილი საფეხბურთო ქვეყანა იყო.

— პირველი მატჩის წინ შანსები ყოველთვის თანაბარია. ამჟამად უპირატესობა არც ჩვენია, არც მეტოქის, თუმც, ვეცდებით, „ლევადიაზე“ უკეთ მოვემზადოთ და მეტოქე ღირსეულად დავამარცხოთ.

— მეტოქეზე ინფორმაციის შეგროვებას უკვე შევუდექით. უახლოეს დღეებში „ლევადიას“ მატჩების ფირებსაც ველით და ალბათ, მეტოქის რომელიმე თამაშზე დასასწრებლად ჩვენს წარმომადგენელსაც მივავლენთ.

ძოგა ინასარიძე

ლევადია

ტალინი, ესტონეთი

დაარსდა 1998 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ვიქტორ ლევადა
გენერალური მდივანი: იური ცურილკინი
მთავარი მწვრთნელი: ტარმო რუუტლი
სტადიონი: „კადრიორუ“ (ტევადობა 4 700)
ესტონეთის ჩემპიონი (3): 1999, 2000, 2004
ესტონეთის ლიგის თასი (1): 1999
ესტონეთის თასი (3): 1999, 2000, 2004
ესტონეთის სუპერთასი (2): 1999, 2000
ჩემპიონთა თასზე: 6 მატჩი, 1 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება, ბურთები 8:14
უეფას თასზე: 10 მატჩი, 2 მოგება, 1 ფრე, 7 წაგება, ბურთები 10:21
ინტერტოტოს თასზე: 4 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება, ბურთები 1:4

მეკარეები		
ალექსანდრ დაცენკო	ესტონეთი	03.02.81
არტურ კოტენკო	ესტონეთი	20.08.81
მცველები		
ვიტოლდას ჩეპაუსკასი	ლიტვა	17.03.79
სერგეი ხოხლოვ-სიმსონი	ესტონეთი	22.04.72
ანდრეი კალიმულინი	ესტონეთი	06.10.77
ტიჰონ შიშოვი	ესტონეთი	11.02.83
ნახევარმცველები		
ვაან არუთინიანი	ესტონეთი	18.08.80
მარიუს დოვიდენასი	ლიტვა	28.06.79
ვიტალი ლეიტანი	ესტონეთი	01.12.78
კონსტანტინ ნაჰკი	ესტონეთი	10.02.75
მიროსლავ რომეევიჩი	ესტონეთი	21.06.86
კონსტანტინ ვასილიევი	ესტონეთი	16.08.84
თავდამსხმელები		
მარტინას კარალიუსი	ლიტვა	23.03.80
ატს პურიე	ესტონეთი	03.08.85
ვლადიმირ ცელნოკოვი	ესტონეთი	17.04.80
ინდრეკ ზელინსკი	ესტონეთი	13.11.74

ირლანდია

არემპირლიგა
XIV ტური

უოტერფორდი 2:4 შელბურნი
კორკ სიტი 0:0 ლონგფორდი
შემროკი 1:4 ფინ ჰარპსი
სენტ პატრიკსი 0:2 დროჰედა
დუბლინი 3:2 ბრეი
დერი სიტი — ბოჰემიანსი
გადაიდო

მსოფლიოს 2005 წლის 20-წლამდელთა ჩემპიონატი

მეოთხედფინალი

მაროკო 2:2 დ.დ.(პენ.4:2, 1:1) **იტალია**
გერმანია 1:2 დ.დ.(1:1) ბრაზილია

ისლანდია

არემპირლიგა, VII ტური

ვესტმანაეიარი 1:0 ვალიური

ამჩანაგური მატჩი

ჩინეთი 2:0 კოსტა რიკა

უეფას თასი 2005–2006
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

ტორპედოს მეტოქე ქუთაისი სულ სხვა ბატე-ს ნახავს



უეფას თასის წილისყრის დაწყებამდე „სარბიელის“ ფეხბურთოლოგთა უმეტესობამ „ტორპედოს“ ან „ლოკომოტივის“ მეტოქედ ბელარუსული ბატე დაასახელა. ისემც ყველაფერი კარგად აგიხდეთ — ბორისოველთა სტუმარ-მასპინძლობას ისე დავეჩვიეთ, როგორც საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებთა თანაჯგუფელობას. გავიხსენოთ, რომ ბატე ორჯერ გადაჰყრია თბილისის „დინამოს“. პირველად 2001-02 წლების უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე. მაშინ დინამოელებმა შინ 2:1 იმარჯვეს, ბორისოვში კი 0:4 შერცხვნენ. მეორედ „დინამო“ — ბატეს ორმატჩიანი დუელი შარშან შედგა და კვლავ უეფას თასზე, ამჯერად თბილისელებმა იყოჩაღეს: სტუმრად 3:2, შინ კი 1:0 მოიგეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. გუშინდელმა წილისყრამ კი ბელარუსთა მეტოქეობა ქუთაისის „ტორპედოს“ არგუნა.

თავშივე ვთქვათ, რომ ის ბატე, რომელიც თბილისში გვინახავს და ის გუნდი, რომელსაც რიონისპირელები ნახავენ, ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. შარშანდელი სეზონის დასრულებისთანავე გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა და ბორისოველთა წარმატებების სულისჩამდგმელმა იური პუნტუსმა. 1996 წელს, როცა ფირმა „სტალკერის“ გენერალურმა დირექტორმა და ბელარუსის ოდიოზური პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს მეგობარმა ანატოლი კაპსკიმ კლუბის აღორძინება გადაწყვიტა, გუნდის მწვრთნელობა სწორედ პუნტუსს სთხოვა და, როგორც გამოჩნდა, არც შემცდარა. პუნტუსის ხელში ბატე ბელარუსის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში აღზევდა და 1998 წელს მეორე ადგილსაც გამოჰკრა ხელი. მომდევნო სეზონში ბორისოველებმა ჩემპიონატი მოიგეს და ასეთი წარმატება 2002 წელსაც გაიმეორეს.

შარშანდელი შეუერცხლილი სეზონის მერე, ზემოთაც გითხარით, პუნტუსი ბორისოვდან წავიდა. გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმაც დატოვა — ბელარუსის ნაკრების მეკარე იური ჟევნოვმა რუსეთს მიაშურა, დაცვის ბურჯი გენადი მარდასი და ნახევარმცველი ოლეგ სტრახანოვიჩი ყაზახურ „ტობოლში“ მოეწყვნენ, დმიტრი კომაროვსკი მოსკოვის „ტორპედოში“, ოლეგ შკაბრა კი მოსკოვისავე „დინამოში“.

ანატოლი კაპსკის ბევრი არ უფიქრია და პუნტუსის შემცვლელი მალევე იპოვა — გუნდი ბატე-ს დუბლიორთა თავკაცსა და პუნტუსის თანაშემწეს იგორ კრიუშენკოს ჩააბარა. კრიუშენკომაც საქმეს ხელი მოჰკიდა და გუნდში დარჩენილი გამოცდილი ფეხბურთელებითა და მისთვის კარგად ნაცნობი ახალგაზრდებით ახალი ბატე-ს შენება დაიწყო. გაპირველკაცებულმა იგორმა უპირველესად დაცვის ხაზს უცვალა სახე — საშინაო მატჩებისას ბორისოველები სამი მცველით თამაშს ამჯობინებენ, სტუმრად კი ოთხი მცველით ამაგრებენ კარის მისადგომებს. მარდასის წასვლის მერე დაცვის ლიდერობა ვადიმ სკრიპჩენკომ და ალექსეი ბაგამ იკისრეს და თუ ჩვენს ბელარუს კოლეგებს ვენდობით, ამ საქმეს საკმაოდ უნარიანადაც ართმევენ თავს.

კრიუშენკოს მთავარი თავისტკივილი კი ნახევარდაცვა ყოფილა. სტრახანოვიჩის, ლოშანკოვისა და შკაბრას სხვაგან გადახვეწამ თითქოს ხერხემალში გადატეხა გუნდი. მაგრამ მწვრთნელს გამოსავალი აქაც უპოვია — ბატე-მ სეზონის წინ „ნაფტანიდან“ ალექსანდრ ბარანოვი, ხოლო მტზ-რიპოლიდან პაველ ბეგანსკი შეიძინა, ამას დაუმატეთ გამოჯანმრთელებული პაველ შმიგერა, ანდრეი შოროხი, ალექსანდრ კობეცი და ხერხემალიც შეხორცდა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ბეგანსკი 14 აპრილს დაწყებული ბელარუსის ჩემპიონატის თანაბომბარდირია 6 გოლით, ბატეს კი 10 ტურის მერე 17 ქულით მეხუთე ადგილი უჭირავს — 4 მატჩი მოიგო, ხუთჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთხელ წააგო.

ბოლოს სტატისტიკურ დავთრებშიც ჩავიხედოთ, სადაც ამოვიკითხავთ, რომ ბატე-მ ბელარუსის უმაღლეს დივიზიონში 7 სეზონი გაატარა და ამ ხნის მანძილზე ყველაზე მეტი — 446 ქულა მოაგროვა. და ერთიც, ბორისოველები თავს იმითაც იწონებენ, რომ მათ რიგებში უცხოტომელს ანუ ლეგიონერს არასოდეს უთამაშია.

სოსო კოტორეიშვილი

ბატე

ბორისოვი, ბელარუსი

იგორ კრიუშენკომ (მარცხნივ) ბატე კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებული მწვრთნელისგან, იური პუნტუსისგან გადაიბარა

დაარსდა 1973 წელს
კლუბის თავმჯდომარე: ანატოლი კაპსკი
გენერალური დირექტორი: მიხაილ დემენცევიჩი
მთავარი მწვრთნელი: იგორ კრიუშენკო
სტადიონი: „ცენტრალური“ (ტევადობა 5 500)
ბელარუსის ჩემპიონი (2): 1999, 2002
ჩემპიონთა თასზე: 6 მატჩი, 2 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, ბურთები 4:8
უეფას თასზე: 8 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 7 წაგება, ბურთები 8:24

მეკარეები		
ბორის პანკრატოვი	ბელარუსი	30.12.82
ალექსანდრ ფედოროვიჩი	ბელარუსი	27.08.73
მცველები		
ალექსეი ბაგა	ბელარუსი	04.02.81
რომან გარკუშა	ბელარუსი	02.06.84
დმიტრი ელიმოვიჩი	ბელარუსი	09.02.84
დმიტრი მოლოში	ბელარუსი	10.12.81
არტიომ რადკოვი	ბელარუსი	26.08.85
ვადიმ სარიპჩენკო	ბელარუსი	26.11.75
ალექსეი ხალეცკი	ბელარუსი	19.06.84
ნახევარმცველები		
ალექსანდრ ბარანოვი	ბელარუსი	27.11.74
ალექსანდრ ერმაკოვიჩი	ბელარუსი	21.01.75
მაქსიმ ჭავნერჩიკი	ბელარუსი	09.02.85
ალექსანდრ კობეცი	ბელარუსი	11.06.81
დმიტრი ლიხტაროვიჩი	ბელარუსი	01.03.78
დმიტრი რუბნენკო	ბელარუსი	30.07.83
მიხაილ სივაკოვი	ბელარუსი	16.01.88
იგორ სტასევიჩი	ბელარუსი	21.10.85
პაველ შმიგერა	ბელარუსი	01.03.82
ანდრეი შოროხი	ბელარუსი	20.09.82
თავდამსხმელები		
პაველ ბეგანსკი	ბელარუსი	09.01.81
ალექსანდრ ვიშნიაკოვი	ბელარუსი	08.05.86
ანდრეი გორბაჩი	ბელარუსი	20.05.85
ალექსანდრ ლებედევი	ბელარუსი	14.04.85

დავით გამეზარდაშვილი: ვიცნობ და ვშიშობ



„ტორპედოს“ მცველი დავით გამეზარდაშვილი ამ წყვილში ბატე-ს თვლის ფავორიტად, მაგრამ იმასაც ამბობს, თუ ძლიერი ფეხბურთელები დაიმატეთ, მერე ჩვენი შანსები გაიზრდებაო...

— ბატე-სთან ამ ზამთარს ანთალიაში ვითამაშეთ ტესტ-მატჩი, თუმცა მაშინ ბელარუსებს სხვა გუნდი ჰყავდათ. ძალიან ძლიერი მეტოქეც არაა, მაგრამ დღევანდელი „ტორპედოს“ ფონზე...

— ბატე-ს სხვა მხრივაც კარგად უნდა იცნობდეთ — თბილისის „დინამოს“ ორჯერ გადაჰყრია ევროტურნირზე...

— ეს მცირე პლუსია ჩვენთვის. ჩვენ უფრო მეტი ინფორმაცია გვაქვს „ბატეზე“, ვიდრე მათ „ტორპედოზე“. და მაინც: სადღეისოდ შანსებს სამოცი-ორმოცზე შევაფასებდი მეტოქის სასარგებლოდ.

— ერთი შეხედვით, საკვანძო მეტოქეებიდან ყველაზე არასასურველი ბატე იყო.

— გაჩნია, ჩვენ როგორი გუნდი გვყოლება. ჯერჯერობით, ძლიერი ფეხბურთელები გვაკლია, არადა, ბატე-სთან თამაშამდე სამი კვირაღა დარჩა. ერთი სიტყვით, გუნდს სასწრაფოდ დაკომპლექტება სჭირდება.

— შენ რას აპირებ, სხვა კლუბებისგან ხომ არ მიგიღია წინადადება?

— არა, ახალი არაფერია. ალბათ „ტორპედოს“ უეფას თასზე დავეხმარები და მერე გადავწყვიტ დანარჩენს.

ილია ნანოგაშვილი

უეფას თასი 2005–2006
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

ლოკომოტივის მეტოქე

სარგისმა ბანანცი სოფლიდან გამოიყვანა

იცით, ვინ არის სარგის ისრაელიანი? ვეჭვობ, რომ იცოდეთ. რა დასამალია და, გუშინდლამდე ჩვენც არაფერი გაგვეგო ამ კაცის შესახებ, მაგრამ, როცა თბილისის „ლოკომოტივის“ საუკეთესოთესო მეტოქის ვინაობა შეკ-ტეკი და სომხური „ბანანცის“ ვებ-გვერდს ვესტუმრეთ, სარგის მიხაილის ძეზე ბლომად ცნობები შეეკრიბეთ.

პარონ ისრაელიანი ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული კაცი და კვაჭი ბიზნესმენი ყოფილა. ბურთის ტრფიალმა კი თურმე კლუბის შექმნა გადააწყვეტინა და 1992 წლის იანვარში ოცნებაც აისრულა — საფეხბურთო კლუბი „ბანანცი“ დაარსა. ეგ ბანანცი რაღააო, ბევრს გაჰკვირვებია სომხეთში, მაგრამ როცა ისრაელიანს განუმარტავს, ჩემი მშობლიური სოფლის სახელიაო, სარგისისთვის გუნდის „ბანანცად“ სახელდება მოუწონებიათ კიდეც

ახალშექმნილ გუნდს სომხეთის პირველ დამოუკიდებელ ჩემპიონატში მისცეს თამაშის უფლება და ბანანცელებმაც ყველა გააოცეს — ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. ეს რა არის, სომხეთის თასის ასევე

ვაჩაგან დოლუხანოვის ფოტო

მანუჩარ ივარდავა ყოფილ კლუბს უეფას თასზე გადაეყარა

პირველ გათამაშებაში ერევნის „არარატი“ და ხორენ ოგანესიანის „ჰომენტმენი“ ჩამოიცილეს გზიდან და თასსაც დაეპატრონენ.

1995 წელს „ბანანცს“ მძიმე დრო ება დაუდგა. ეტყობა, სარგის ისრაელიანს ფული გამოელია და გუნდი დაიშალა, უფრო სწორად, „კოტაიკს“ შეუერთდა. თქვენ გგონიათ, ფეხბურთზე გულშევარდნილმა სარგისმა უბანანცოდ დიდხანს გაძლო? არა ბატონო. მიდგა, მოდგა, საქმეები გაჩარხა, ფული იშოვა და 2001 წელს კლუბი ხელახლა დააარსა. გაცოცხლებულმა „ბანანცმა“ მომდევნო სეზონში კვლავ გამოიჩინა თავი და 1992 წლის შედეგი გაიმეორა — მესამე ადგილი დაისაკუთრა.

რას წარმოადგენს დღევანდელი „ბანანცი“, რომელსაც აშოტ ბარსეგიანი წვრთნის, ძნელი სათქმელია, თუმც გუნდმა რომ უეფას თასის საგზური მოიპოვა, ალბათ პრეზიდენტი ისრაელიანი კმაყოფილი დარჩებოდა. თუ „ლოკომოტივის“ მეტოქის შემადგენლობას ჩაიკითხავთ, აღმოაჩენთ, რომ სომხებს ოთხი ლეგიონერი ჰყავთ — უზბეკი თემურ განიევი, უკრაინელი მცველი არტიომ ევლანოვი და ჩვენებური, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მეკარე მანუჩარ ივარდავა და ნახევარმცველი გიორგი ფურცელაძე.

„ბანანცში“ თამაშობდა კიდევ ერთი ქართველი, ბესიკ ჭიღლაძე, მაგრამ მან გუნდი დატოვა...

სოსო კოტორეიშვილი



„ბანანცის“ თავკაცი აშოტ ბარსეგიანი თბილისის „ლოკომოტივს“ ორი ქართველით შეებრძოლება

ბანანცი
ერევანი, სომხეთი

დაარსდა 1992 წელს
კლუბის პრეზიდენტი: სარგის ისრაელიანი
ვიცე-პრეზიდენტი: ოგანეს ხანაზანიანი
მთავარი მწვრთნელი: აშოტ ბარსეგიანი
სომხეთის თასი (1): 1992
უეფას თასზე: 4 მატჩი, 0 მოგება, 1 ფრე, 3 ნაგება, ბურთები 2:7

მეკარეები		
თემურ განიევი	უზბეკეთი	21.02.84
მანუჩარ ივარდავა	საქართველო	23.07.82
მცველები		
ჯარენ სიმონიანი	სომხეთი	07.06.70
არტიომ ევლანოვი	უკრაინა	18.06.84
აშოტ გრიგორიანი	სომხეთი	05.10.79
არარატ არაქელიანი	სომხეთი	01.02.84
რომეო ჯენებიანი	სომხეთი	10.09.79
ნახევარმცველები		
სურენ სარგსიანი	სომხეთი	15.03.84
არტაკ ოსეიანი	სომხეთი	16.05.87
ედუარდ ჯაკოსიანი	სომხეთი	04.06.86
ვაჰე დავთიანი	სომხეთი	17.08.83
არტურ პეტროსიანი	სომხეთი	15.06.83
გიორგი ფურცელაძე	საქართველო	09.01.82
თავდამსხმელები		
არამ აკოფიანი	სომხეთი	15.08.79
სამველ მელქონიანი	სომხეთი	15.03.84
ვაჰე ტადევოსიანი	სომხეთი	17.10.83

ნოდარ აკობია: ბანანცი? წარმოდგენა არ მაქვს



ვაჩაგან დოლუხანოვის ფოტო

„ბანანცი“ ნამდვილად არაა მინსტრი თბილისის „ლოკომოტივისთვის“. ის კი არა, ვფიქრობთ, რკინიგზელებმა ეს ბარიერი აუცილებლად უნდა გაიარონ.

თბილისელთა მწვრთნელი ნოდარ აკობია კი საგულისხმოს ვერაფერს გვეუბნება, წარმოდგენა არა მაქვს, რა გუნდია „ბანანცი“...

— რომ გითხრათ, უარეს ან უკეთეს ვარიანტს ველოდი-მეთქი, მოგატყუებთ. საბჭოთა კავშირის დროს თბილისის „დინამოში“ მუშაობისას სომხური ფეხბურთის პლუსმინუსები კარგად ვიცოდი, მას შემდეგ კი მათ არ შევხვედრივარ.

— ისე, სავარაუდო მეტოქეებიდან „ბანანცი“ თითქოს ყველაზე ხელსაყრელი გუნდია...

— ვერ ვიტყვი, რომ ასეა. რაიმე წარმოდგენა რომ მქონდეს, ან ერთხელ მაინც მყავდეს ეს გუნდი ნანახი, მაშინ კიდევ შეიძლებოდა პარალელების გავლება.

— ხელსაყრელი გუნდი იმიტომ ვთქვით, რომ სომხეთის ჩემპიონატი იგივე ბელარუსისას და აზერბაიჯანისას ჩამორჩება...

— ვიცი, რომ მანუჩარ ივარდავა თამაშობს სომხეთში, იქაურ კლუბებს ლეგიონერები არ აკლიათ და ეს იმაზე მეტყველებს, რომ ფინანსურად არცთუ ძალიან უჭირთ. მაინც ვთვლი, რომ ეს ეტაპი აუცილებლად უნდა გავიაროთ.

— „ლოკომოტივში“ რაიმე სიახლე ხომ არაა?

— არა, გუშინ დავბრუნდით ლიკანის შეკრებიდან. ბოლო დღეებში არავინ შეგვმატებია და ისე ჩანს, ახალგაზრდებით მოგვიწევს უეფას თასზე თამაში.

— რატომ, რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას ხომ აპირებდით?

— კი, მაგრამ არავინ გადმოდის ჩვენთან. ყველა უკეთეს მატერიალურ პირობებს ეძებს...

ილია ნანობაყვილი

ინტერტოტოს თასი 2005

თბილისი. 26 ივნისი. 18 საათი. ეროვნული

ვიტ ჯორჯია – ლომბარდ პაპა

პირველი მატჩი 1:2 •

საქართველოს ექსჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“ ინტერტოტოს თასის პირველ ეტაპზე უნგრულ „ლომბარდ პაპასთან“ სტუმრად 1:2 წააგო და ხვალ ეროვნულ სტადიონზე ეცდება მეტოქის წაქცევას. ვიტელები დანაკლისს ვერც ამჯერად ასცდებიან: ვერ ითამაშებენ უნგრეთში გაძევებული ნახევარმცველი გიორგი დათუნაიშვილი და ტრავმირებულები — მცველი თენგიზ კობიაშვილი და შუახა ზელი გიორგი ფეიქრიშვილი. სამაგიეროდ, დისკვალიფიკაცია მოიხადა გუნდის მთავარმა იმედმა, მეგოლე ოთარ მარცვალაძემ და თუ იგი ხვალ თამაშის იშტაზე იქნა, მადიარების კართან ალბათ ხშირ-ხშირად იქნება ჩოჩქოლი.

გუშინ კი „ეროვნულის“ საპრესკონფერენციო დარბაზში „ვიტ ჯორჯიას“ გენერალური მდივანი მალხაზ კაკაურიძე, მთავარი მწვრთნელი ნესტორ მუმლაძე და გუნდის კაპიტანი დავით დიღმელაშვილი ჟურნალისტებს შეხვდნენ. მათი საუბრიდან დასკვნის გამოტანა იოლი იყო — გულშემატკივრები მოვიდნენ სტადიონზე და თავს მოვიკლავთ, ამ ეტაპს როგორმე გავივლითო...

ჯორჯია, იქნებ პაპა იყოს შენი

ჯერ ლომბარდი, მერე ჰოპლა



ვაჟა დოლენჯაშვილის ფოტო

დავით დიღმელაშვილს და ნესტორ მუმლაძეს უნგრელების დამარცხების იმედი აქვთ

„გუნდში საბრძოლო განწყობაა. ეგაა, კობიაშვილსა და ფეიქრიშვილს მცირე ტრავმები აქვთ, რის გამოც საამმატჩოდ ვერ ემზადებიან. მარცვალაძე გუშინ შემოგვიერთდა, ის სპეციალური პროგრამით ვარჯიშობდა და ცუდ ფორმაში არ უნდა იყოს. „ლომბარდ პაპა“ საშუალო დონის გუნდია და ვერ ვიტყვი, რომ ჩვენზე ძლიერია“ — თქვა მუმლაძემ, ხოლო დიღმელაშვილმა უნგრელები იმ ავსტრიული „პაშინგის“ კალიბრის გუნდად ჩათვალა, რომელმაც „ვიტ ჯორჯია“ ორი წლის წინ ინტერტოტოს თასიდან გამოთიშა.

ვიტელთა თავკაცს საგოლე მომენტების გამოუყენებლობაზე ვკითხეთ, რაზეც მან გვიპასუხა, ფეხბურთში ყველა გასატანი გოლი არ გადის, ამ ნაკლს ჩვენზე ძლიერი გუნდებიც უჩივიანო.

მუმლაძე ამბობს, ახლა უკეთ ვიცნობთ მეტოქეს და ეს შანსი საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთო: „პროგნოზებს მოვერიდები. ისე კი, პენალტების სერიისთვისაც ვემზადებით.“

ანგარიშის გათვალისწინებით, შესაძლოა, „ლომბარდ პაპამ“ ხვალ მთავარი ყურადღება დაცვას დაუთმოს. ვიტელთა თავკაციც ასე ფიქრობს. „უნგრეთში ნამატჩევს „პაპას“ მწვრთნელმა თქვა, თბილისში ფრეს უნდა მივაღწიოთო. ესე იგი, გუნდი დაცვაში ჩაჯდება. ისინი ამ დროს 4-5-1 სისტემას იყენებენ, შეტევისას კი სამი დავდამსხმელით თამაშობენ“.

„ვიტ ჯორჯიადან“ წავიდა ცენტრალური მცველი ალექსანდრე ინწკირველი, ხვალ მისი თანაამპლუელი თენგიზ კობიაშვილიც არ იქნება, რაც საკმაო დანაკლისია. დავით დიღმელაშვილმა თქვა, მათ გარეშე გვიჭირს, მაგრამ ჩვენ გვყავს ახალგზარდა მცველები, რომლებსაც ღირსეულად თამაში შეუძლიათო.

უნგრელებს უკვე გამოუგზავნიათ სახვალიო მატჩის განაცხადი, რომელშიც არც ერთი ცვლილება არ არის. კვლავ არ ითამაშებს „ლომბარდ პაპას“ მთავარი ფორვარდი ტომაშ მედვედი — ივი კლუბიდან წასვლას აპირებს.

„ვიტ ჯორჯიამ“ თუ იმარჯვა, მეორე ეტაპზე, სავარაუდოდ, სახელიან შვედურ „გიოტებორგს“ გადაეყრება. მუმლაძეს კი ამის გაგონებაც არ სურს, ჯერ 26 ივნისი გვიტრიალებს თავშიო.

ილია ნანოგაშვილი

ამერი უმაღლესში მთიდან დაეშვება

პირველი ლიგის ჩემპიონმა მზადება ბაკურიანში დაიწყო

ფეხბურთის ფედერაციაში ახალი პრეზიდენტი ახალი იდეებით მოვიდა და უმაღლესი ლიგა დაკომპლექტებული ჯერაც არ არის, თუმცა ის გუნდები, უმაღლესიშ თამაში განაღდებული რომ აქვთ, მზადებას უკვე შეუდგნენ.

ერთი მათგანი, თბილისის „ამერი“ სეზონისთვის მზადების პირველ ეტაპს ბაკურიანში გადის.

შეკრების მიმდინარეობაზე მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე მოგვითხრობს...

— სეზონი 7 ივნისს დავასრულეთ, 17-ში კი ახალი სეზონისთვის მზადება დავიწყეთ, ანუ ფეხბურთელებს ძალიან ხანმოკლე შვებულებები გამოუვიდათ. შეიძლება ითქვას, დასვენება ვერც მოვახერხეთ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში თამაშის წყურვილი ამ უხერხულობას გავიწყებს.

— როგორც გითხარით, 18 ივნისს შევიკრიბეთ, ორი დღის მერე კი ბაკურიანში წამოვედით. ამ ეტაპზე გამორჩეულ ყურადღებას ფეხბურთელების ფუნქციონალურ მომზადებას ვუთმობთ, ტექნიკა-ტაქტიკის მომზადებაზე კი აქცენტს მეორე ეტაპზე დავუთმობთ.

— ის გარემოება, რომ ჩემპიონატის კალენდარი ჯერ არ არსებობს და არ ვიცით, სეზონი როდის დაიწყება, გარკვეულ პრობლემებს გვიქმნის. ზუსტი თარიღის ცოდნის გარეშე ვარჯიშების გეგმის სრულყოფილად შემუშავება შეუძლებელია. იმედი მაქვს, კალენდარი შეძლებისდაგვარად მალე დამტკიცდება, იქამდე კი სეზონის დაწყების სავარაუდო ვადის მიხედვით ვგეგმავთ მუშაობას.

— პრობლემას ისიც ქმნის, რომ გუნდის სრულად შეკრება ვერ მოვახერხეთ. ჩვენი ხუთი ფეხბურთელი: რატი წინამძღვრიშვილი, მირზა ბჟალავა, გიორგი ელბაქიძე, ზურაბ გვაძაბია და გიორგი ნიკოლაიშვილი 18-წლამდელთა ნაკრებში არიან გამოძახებულნი და უკვე თითქმის ორი კვირაა, სანაკრებო შეკრებაზე არიან, ივლისის პირველ რიცხვებში კი იტალიაში, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის ფესტივალზე მიემგზავრებიან. ჩვენ მზადების სხვა სქემა გვაქვს, ნაკრებს კი სხვა. ამდენად, კლუბისთვის ამ ფეხბურთელების ნაკრებში ყოფნა საზიანოა, მეორე მხრივ კი, არგაშვებაც არ შეიძლება. სხვა რომ არაფერი, ბიჭებისთვის ნაკრებში მიწვევა დიდი სტიმულია, ხოლო ეს კლუბისთვის საამაყოა.

ამათ გარდა, ბაკურიანში ვერ წამოვიდა დავით მჭედლიშვილი, რომელსაც ლავიწის ძვალი ჰქონდა გატეხილი და ხელმეორე ოპერაცია გაიკეთა. ჩვენი ახალშეძენილი მეკარე გიორგი ნიკურაძე კი ფინური კლუბიდან მხოლოდ 17 ივლისს გათავისუფლდება.

— გარდა ამისა, სიახლეა სამწვრთნელო შტაბშიც — ნუგზარ ბოჯგუა შემოგვიერთდა. თავის დროზე ის ჩემი და მიხეილ ჯიშკარიანის მწვრთნელი იყო სოხუმის „ცხუმში“ და მისი ხელმძღვანელობით 1992 წელს „ცხუმი“ საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. ნუგზარ ბოჯგუა ფეხბურთის ფანატიკოსია და თუ მას მუშაობის ნორმალურ პირობებს შეუქმნი — როგორიც „ამერშია“ — დიდ შედეგებს მიაღწევს.

— ბაკურიანიდან თბილისში 3 ივლისს დავბრუნდებით. ერთი კვირა ვივარჯიშებთ და ამხანაგური მატჩის გამართვაც გვინდა, მერე კი ათი დღით აზერბაიჯანში მივდივართ. ბაკურიანული შეკრებისგან განსხვავებით, იქ მეტ ყურადღებას ტექნიკურ-ტაქტიკურ მომზადებას დავუთმობთ.

ცხადია, აზერბაიჯანში ამხანაგურ მატჩებშაც ჩავატარებთ, ერთი საკონტროლო თამაში კი იქიდან დაბრუნების მერეც გვექნება.

— მოგეხსენებათ, „ამერი“ ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშებს, „ამერი 2“ კი პირველ ლიგაში, მაგრამ ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული ორი გუნდი არ გვეყოლება. სხვათა შორის, აწ გასრულებულ სეზონშიც ასე იყო, როცა ჩვენ პირველი და რეგიონული ლიგების ჩემპიონები გავხდით მეტწილად ორივე შემადგენლობა ერთად ივარჯიშებს, თუმცა ცალცალკე ვარჯიშიც მოუწევთ — ეს უკვე უმაღლესი და პირველი ლიგების კალენდრებზეა დამოკიდებული. გაჩნია, ლიგებში რამდენდღიანი ინტერვალით მოვიწევს თამაში.

გიორგი ჩიხრაძესთან საუბრის მერე „ამერის“ ახალწვეულებსაც გავესაუბრეთ.

დიმიტრი ტატანაშვილი: „ძალიან კმაყოფილი ვარ, „ამერში“ რიგ გადმოვედი. სულ რამდენიმე დღეა, რაც ჩემს ახალ თანაგუნდელებთან ერთად ვარ და ძალიან თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ. დატვირთვები სერიოზულია, მაგრამ არ მიჭირს. როცა ხედავ, თითოეული ფეხბურთელი როგორი მონდომებით მუშაობს, შენც მეტი ხალისით ვარჯიშობ.“

დენის დობროვოლსკი: „შეიძლება ითქვას, თავს უკვე კარგი ხანია, ამერელად ვგრძნობ. წინა სეზონის მეორე წრეში „ამერი 2“-ის შემადგენლობაში რამდენიმე მატჩში ვითამაშე და აქაური გარემო ჩემთვის უცხო არაა. თუმცა როცა პირველად წახვალ გუნდთან ერთად შეკრებაზე, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ. „ამერში“ რეგიონული ლიგის „ბერიდან“ მოვედი და შედარებაც არ შეიძლება, იმდენად განსხვავებულ გარემოში მოვხვდი. მაგრამ გაცილებით დიდი მოთხოვნები, რასაც „ამერში“ ფეხბურთელებს გვიყენებენ, არ მაშინებს და შანსის გამოსაყენებლად ყველაფერს გავაკეთებ.“

ლუკა თალაკვაძე

ბადრი ძეთილაძის ფოტოები







დიმიტრი ტატანაშვილი და დენის დობროვოლსკი „ამერის“ ახალი თაობის ფეხბურთელები არიან, გიორგი ჩიხრაძე კი ვარჯიშისას იმ დროს იხსენებს, თავად რომ იყო „ამერის“ ფეხბურთელი

გია გეგუჩაძე ძველსა და ახალზე

დინამოური პოლიტიკიდან თექვსმეტ გუნდამდე

— მას შემდეგ, რაც „დინამოდან“ წახვედით, რას საქმიანობთ?

— ფეხბურთს ცოტათი მოვწყდი, ბოლო ხანს მეგობრების წრეში ვტრიალებ, შემოთავაზებები კი ჯერჯერობით არ მაქვს.

— და როგორ უნდა შეინარჩუნოს ფორმა უმუშევარმა მწვრთნელმა?

— ყველაფერს ვაანალიზებ, თამაშებს ვუყურებ. მაგალითად, კონფედერაციათა თასის მატჩებს ვაკვირდები, რათა რამე ახალი დავინახო. პროფლიცენზიის აღება მსურს, თუმც ეს იოლი არაა, ამასაც დაფინანსება სჭირდება.

— თუ რატომ მოგიწიათ „დინამოსთან“ განშორებამ, ამასაც აანალიზებთ?

— სეზონის მეორე ეტაპის წინ გუნდის ძირეულად შეცვლამ მოგვიწია, რაც ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებით მოხდა.

— კლუბის მმართველი დირექტორი მაშინ დავით პეტრიაშვილი იყო — გამოდის, თქვენსა და მას შორის თანაგუნდელობის მომენტი დაიკარგა?

— არა, ასე არ ყოფილა, ფეხბურთელების ხელფასები იყო გასაცემი, რაც ტრანსფერებზე გახლდათ დამოკიდებული.

— ჯულუარებში ითქვა, პეტრიაშვილს კლუბის მფლობელმა ბადრი პატარკაციშვილმა სრული კარტ-ბლანში იმიტომ მისცა, რომ პეტრიაშვილი მას ხარჯების შემცირებას და კლუბის რენტაბელობას დაჰპირდაო — პეტრიაშვილის და თქვენმა ასეთმა პოლიტიკამ ვერ გაამართლა?

— ჯაბა კანკავას „ალანიაში“ ტრანსფერმა კლუბს შემოსავალი მოუტანა, თუმც მე კანკავას წასვლის წინააღმდეგი ვიყავი. კლუბის რენტაბელობამდე შორია, მაგრამ შემოსავლების და ხარჯების შემცირება მართლა იყო. თუმც, რასაც მივაღწიეთ, იმას საფუძველი გამოეცალა — რამდენიმე ფეხბურთელის გუნდიდან წასვლის მომხრე მოახლოებული ევროტურნირების წილისყრა გუშინ გაიმართა და ქართული კლუბებიდან ყურადღების ცენტრში კვლავ თბილისის „დინამოა“, რადგან „დინამო“ მაინც „დინამოა“, „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშობს, „დინამოს“ ახალი მწვრთნელი და მმართველობა ჰყავს და „დინამომ“ შარშანდელზე ნაკლებს არ უნდა მიაღწიოს წლევანდელ ევროფრონტოზე. შარშან „დინამოს“ გია გეგუჩაძე წვრთნიდა და, რასაც მიაღწია გუნდმა მის ხელში, ახლა ამაზე აღარ ვილაპარაკებთ, თუმც უმუშევრად დარჩენილ გეგუჩაძესთან საუბრისას „დინამოს“ თემას ვერ ავცდით და აქეთ-იქითურსაც მოვედეთ...



გადა ჯიბლაძის ფოტო

არ ვიყავი და ისიცაა, რომ კლუბის ბიუჯეტი სულ უნდა იზრდებოდეს.

— ითქვა, „დინამოში“ დისბალანსი იყოო — რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის ხელფასი საკმაოდ მცირე იყო, ხოლო ზოგი 30 წელს გადაცილებული ათასობით დოლარს იღებდა და სწორედ ამან განაპირობა გუნდიდან კანკავას წასვლაო...

— იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც ჩვენამდე მივიდნენ გუნდში, ვერაფერს გეტყვით, რაც შეეხება კანკავას და სხვა ახალგაზრდებს, მათი ხელფასი ეტაპობრივად იზრდებოდა და საქართველოს კვალობაზე ძალიან კარგი ანაზღაურებაც ჰქონდათ. ასე რომ, ჩვენ დისბალანსი არ შეგვიქმნია, უბრალოდ, ასეთ პრინციპი დავაწესეთ — ჯერ ითამაშეთ და მერე მოგეცემათ.

— ქართულ ფეხბურთში მოტრიალე ხალხი იმასაც ამბობს, შარშან „დინამომ“ „ვისლას“ რომ მოუგო და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, ნაღდი თამაში არ იყოო, თუმც ამას საქვეყნოდ ვერ აცხადებენ... მოკლედ, ბევრს არ სჯერა, რომ „დინამომ“ პოლონეთის ჩემპიონს ნაღდ ბრძოლაში მოუგო — რას ეტყოდით მათ?

— მხოლოდ იმას, რომ ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ. ისე, „დინამო“ არ იყო „ვისლაზე“ ძლიერი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ვისლას“ არასაფეხბურთო ხერხებით მოუგო. უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მოგების წყურვილი იყო — ალბათ, ჩვენ უფრო გვჭირდებოდა და გვინდოდა მოგება, ვიდრე „ვისლას“. თანაც პოლონელები „ვიტ ჯორჯიასთან“ მოგების შემდეგ „დინამოსგან“ ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდნენ, ამისთვის მზად არ იყვნენ, ჩვენ კი ძალიან კარგად გვყავდა შესწავლილი „ვისლა“.

— ახლანდელ „დინამოში“ ვის თვლით ისეთ ფეხბურთელად, ვინც, ასე ვთქვათ, ყველაზე მაგრად უნდა აფეთქდეს?

— თუ მოინდომებს, შოთა ბაბუნაშვილს შეუძლია კარგად წარმოჩინდეს.

— „დინამოდან“ მიხეილ კაკალაძე გაუშვეს — თქვენი აზრი ამ ფეხბურთელზე?

— კაკალაძეზე ძალიან დადებითი აზრის ვარ.

— 16-გუნდიანი უმაღლესი ლიგა საქართველოში — ამაზე რას იტყვით?

— ზოგადად, 16 გუნდი და ორი წრე კარგია, მაგრამ ამ გუნდებს მყარი ფინანსური გარანტიები უნდა ჰქონდეთ. დაველოდოთ, რა მოხდება. მთავარი მაინც საკანონმდებლო ბაზაა...

— თუ ამ ეტაპზე 16-გუნდიანი უმაღლესი ლიგა იქნება, წინ ძალიან სასაცილო ჩემპიონატი გველის — იზიარებთ ასეთ შეხედულებას?

— სასაცილო დონემდე რომც მივიდეთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენთვის ეს, ფაქტობრივად, ათვლის წერტილია და ჩვენს ჩემპიონატს და ფეხბურთს აუცილებლად სჭირდება მედიის დახმარება, რომლის გარეშეც ვერაფერს მივაღწევთ.

— მსგავსი პიარი უკვე თხუთმეტი წელია, გრძელდება, მაგრამ...

— თუ არასწორი გზით ვივლით, ეს აუცილებლად უნდა ითქვას.

— თქვენი ძველი მეგობრისგან, იოჰან ბოსკამპისგან რა ისმის?

— ის ქუვეითში ერთ-ერთ მოწინავე გუნდს წვრთნის, რომელთანაც კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, საქმიანი წინადადება კი ამ ეტაპზე მისგან არ მიმიღია.

დავით თავართქილაძე

შალკე 04 და კობიაშვილი 08

სანამ გელზენკირხენის „შალკე 04“ ზურაბ ხიზანიშვილის გადაბირებაზე ბჭობს, მეორე ქართველთან უკვე გაარკვია საქმე — ლევან კობიაშვილთან კონტრაქტს გააგრძელებენ.

კობიაშვილმა დამაჯერებლად ჩაატარა წინა სეზონი და აკი „სარბიელის“ გამოკითხვის შედეგად საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. ლევანს გარჯა „ხუმარებმაც“ დაუფასეს და ხელშეკრულების გაგრძელებაზე ჩამოუგდეს სიტყვა.

„შალკეს“ მენეჯერმა ანდრეას მიოლერმა განაცხადა, რომ კობიაშვილს უკვე შეუთანხმდა და „შალკე“ ჩვენებურთან კონტრაქტს 2008 წლის ივნისამდე გააგრძელებს. შეგახსენებთ, მოქმედი გარიგებით ლევანი „შალკეს“ 2006 წლის ივნისამდე ეკუთვნის.

„ხუმარები“ ჩვენებურის გარდა 2008 წლამდე კიდევ ორ ფეხბურთელთან გაახანგრძლივებენ ხელშეკრულებას — მეკარე ფრანკ როსტთან და შემტევ ჯერალდ ასამოასთან.

ნიკა ჯორჯაძე

მიდიან, მიდიან, აზერბაიჯანში მიდიან

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ავკარგიანობაზე ბევრჯერ დაგვიწერია და ახლა მეტს არ მოვყვებით, ერთი ნაღდია, ჩვენი მეზობელი ქვეყნის კლუბებს ბევრი ქართველი ფეხბურთელი მიადგება და დიასპორა გაიზრდება. „თბილისის“ ყოფილი მეკარე სოსო გრიშიკაშვილი უკვე „ბაკიშია“ და დღე-დღეზე კონტრაქტს მოაწერს ხელს, ამავე კლუბში თითქმის გადაწყვეტილია საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველის, მამუკა წერეთელის გადასვლა. შეგახსენებთ, წერეთელს კარგა ხანს ტრავმები სტანჯავდა, გასულ სეზონში „ბათუმში“ აპირებდა თამაშს, თუმც აჭარაში დიდხანს არ გაჩერებულა.

ჩემპიონ ბაქოს „ნეფთჩის“ კი ვალერი აბრამიძისა და გიორგი ადამიას შემდეგ მესამე ქართველი, დავით სვანიძე შეემატა. ეს ნახევარმცველი გასულ სეზონში ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა...

აზერბაიჯანში ტრანსფერებზე ყველაზე მეტად ლენქორანის „ხაზარი“ „ფუსფუსებს“ — ბუნებრივიცაა, ეს გუნდი ხომ აზერბაიჯანში უმდიდრესია. „ლენქორანი“ ახლახან თურქმა ლიდერმა ოქთაი დერელიოღლუმ დატოვა და, ჩანს, ახლა ქართველებსა და ბრაზილიელებზე სურთ გუნდის აწყობა. აზერბაიჯანული ვებ-გვერდების ცნობით, „ხაზარში“ რამდენიმე ქართველი ისინჯება, თუმცა გვარები არ არის ჩამოთვლილი.

ილია ნანოგაჯვილი

სამეზობლოში სიხარულია

ნიონში გამართულმა გუშინდელმა კენჭისყრამ ზოგი უკმაყოფილო დატოვა, ზოგიც კმაყოფილი

უეფას შტაბ-ბინაში ჩატარებულმა კენჭისყრამ „ლივერპულის" მეტოქედ უელსური „ლანსანტფრეიდი" დაასახელა, ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს შორს გამგზავრება არ დასჭირდება. შეგახსენებთ, რომ „ლივერპული" შეჯიბრებაში უეფას საგანგებო ნებართვითაა დაშვებული, თორემ ინგლისის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე გასული, მიუხედავად იმისა, რომ 25 მაისს სტამბოლში „მილანს" პენალტებით მოუგო და თასი მოიპოვა, ახალ გათამაშებაში ვერ ხვდებოდა.

გუშინდელ კენჭისყრაზე დადგინდა, რომ ამ წყვილს შორის გამარჯვებული ანუ სავარაუდოდ, „ლივერპული", შემდეგ ეტაპზე ფარერული „HB ტორსჰავნისა" და ლიტვური „კაუნასის" წყვილში გამარჯვებულს შეხვდება.

ლივერპულელთა აღმასრულებელმა შეფმა რიკ პერიმ განაცხადა, რომ კენჭისყრის შედეგით კმაყოფილია, რადგან ფეხბურთელებს შორს მოგზაურობა არ მოუწევთ:

„ამ თვალსაზრისით უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი. ჩვენ არ გვინდოდა ევროპის განაპირა რაიონებში, აზიის საზღვრებთან გვემოგზაურა. ასე რომ, ამჯერად ძალიან იღბლიანად გამოვძვერით. იგივე შემიძლია ვთქვა შემდეგ ეტაპზეც. სხვა მხრივ კი, საშინაო დავალებას უნდა ჩავუჯდეთ, რადგან ორივე გუნდი ჩვენთვის ამჯერად უცნობია".

საინტერესოა, რომ „ლივერპულის" შეფთაგანის ამ ნათქვამს ერთი, რომ აზიის საზღვარზე მცხოვრები „ლივერპულის" მოყვარე ხალხის გული შეუძლია გაკენწლოს — დალოცვილო, ჩვენ შენ გვიყვარხარ, შენ კიდევ სულ ორიოდ-სამიოდ საათით თვითმფრინავში ჩაჯდომა გეზარებაო — და საკუთრივ უელსური გუნდის წყენინებაც არ არის გამორიცხული, რადგან რიკ პერი პირდაპირ ამბობს, შემდეგ ეტაპზეც ახლო მეტოქე შეგვხვდაო. მეორე მხრივ კი დიპლომატიურობის ამბავია, თორემ მისტერ პერი დაზარებასთან დაკავშირებითაც და შემდეგ ეტაპზე გასვლასთან დაკავშირებითაც მართალია.

თუმცა, ნუ გგონიათ, რომ „ლივერპულის" შესაძლო სტუმრობით, მხოლოდ სადღაც აზიის საზღვარზე იქნებოდნენ გახარებულები. თავად ბრიტანეთში, კერძოდ უელსშიც დიდი სიხარული გამოუწვევია მეზობლებთან შეხვედრის ამბავს. „ლანსანტფრეიდის" მწვრთნელი იან უილიამსი:

„როდესაც ბურთულიდან ჩვენი გუნდი ამოვიდა, სიხარულის ყიჟინა დავეცით. ეს ჩვენს სახელს წაადგება როგორც შინ, ასევე გარეთ. ცხადია, ეს მნიშვნელოვანი იქნება ფინანსური თვალსაზრისითაც. რაც შეეხება გამარჯვების შანსს, ასეთი ყოველთვის არის, რადგან წინ 180 წუთია სათამაშო".

ახლა კი ვნახოთ, რა თქვა ლიტვური გუნდის, „კაუნასის" აღმასრულებელმა დირექტორმა რომუალდას კონტრიმასმა.

„ლიტვაში ასეთი სახელისა და სტატუსის გუნდს არასდროს უმოგზაურია, მაგრამ მანამდე, პირველ ეტაპზე, ნაცნობ მატოქეს ვხვდებით, რომელსაც 2003 წელს ამავე ეტაპზე უკვე ვეთამაშეთ და 5:1 მოვუგეთ" — ბრძანა მან. მოკლედ, კენჭისყრის შედეგებმა კონტრიმასიც გაახარა.

ჩემპიონთა ლიგის პირველ შესარჩევ ეტაპზე მეტად ნუდარ შევჩერდებით და უეფას თასის ამბები ვთქვათ. ამ შეჯიბრების პირველი შესარჩევი ეტაპის კენჭისყრაც გუშინ იმავე დარბაზში გაიმართა. წილი 50 გუნდს ჰქონდა საყრელი. ეს გუნდები სამ გეოგრაფიული ნიშნით შედგენილ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: ჩრდილოეთისანი, სამხრეთ-ხმელთაშუაზღვისანი და ცენტრალურ-აღმოსავლეთისანი. კენჭისყრის შედეგებიდან ყველაზე მოსაკითხად კი შეგვიძლია, ფეერ პლეის პრინციპით გასული გერმანული „მაინცის" ამბავი მივიჩნიოთ და ვნახოთ, რომ მას სომხური „მიკა" შეხვდა.

„ცხადია, ჩვენთვის ძალიან ძნელია იმის თქმა, რამდენად კარგია „მიკა" რომ შეგვხვდა, რადგან ამწუთას წარმოდგენა არ გვაქვს, რა გუნდია „მიკა". ვინაიდან სომხეთში ჩემპიონატი ახლაც მიმდინარეობს, შანსი ამ გუნდის საქმეში ნახვისა გვაქვს და მას ცხადია, გამოვიყენებთ".

კიდევ, ფეერ პლეის გზით შეჯიბრებაში მოხვდნენ დანიური „ესბიერგი" და ნორვეგიული „ვიკინგი", რომელთაც ბურთულებიდან ესტონური „ფლორა" და ჩრდილოირლანდიური „პორტდაუნი" ამოუვიდნენ.

გათამაშების ამ ეტაპის 25 გამარჯვებული შემდეგ ეტაპზე 37 შემომატებულთან ერთად განაგრძობს გზას. იმ შემომატებულთა შორის იქნება წარსულში ისეთი სახელოვანი გუნდი, როგორიც გახლავთ ბალგრადის „ცრვენა ზვეზდა". შემდგომი რაუნდის კენჭისყრა ნიონშივე, 29 ივნისს გაიმართება.

პაპუნა კედია

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006

I საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

ლივერპული (ინგლისი)	—	ლანსანტფრეიდი (უელსი)
ჰაკა (ფინეთი)	—	პიუნიკი (სომხეთი)
HB ტორსჰავნი (ფარერები)	—	კაუნასი (ლიტვა)
ლევადია (ესტონეთი)	—	დინამო (თბილისი, საქართველო)
ნოვა გორიცა (სლოვენია)	—	ტირანა (ალბანეთი)
კაირატი (ყაზახეთი)	—	არტმედია (სლოვაკეთი)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი)	—	ჰაფნარფიორდური (ისლანდია)
რაბოტნიჩკი (მაკედონია)	—	სკონტო (ლატვია)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია)	—	შელბურნი (ირლანდია)
დინამო (მინსკი, ბელარუსი)	—	ანართოსისი (კვიპროსი)
სლიმა უონდერერსი (მალტა)	—	შერიფი (მოლდოვა)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი)	—	ზრინისკი (ბოსნია)

პირველი მატჩები გაიმართება 12-13 ივლისს, საპასუხოები — 19-20 ივლისს

II საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

ტორსჰავნი ან კაუნასი	—	ლივერპული ან ლანსანტფრეიდი
ლევადია ან დინამო თბ	—	ბრონდბიუ (დანია)
პარტიზანი (სერბეთი)	—	სლიმა უონდერერსი ან შერიფი
დებრეცენი (უნგრეთი)	—	ჰაიდუკი (ხორვატია)
კაირატი ან არტმედია	—	სელტიკი (შოტლანდია)
ნოვა გორიცა ან ტირანა	—	ცსკა (ბულგარეთი)
ანდერლეხტი (ბელგია)	—	ნეფთჩი ან ჰაფნარფიორდური
ვოლერენგა (ნორვეგია)	—	ჰაკა ან პიუნიკი
რაბოტნიჩკი ან სკონტო	—	ლოკომოტივი (რუსეთი)
დუდელანჟი ან ზრინისკი	—	რაპიდი (ავსტრია)
დინამო (კიევი, უკრაინა)	—	თუნი (შვეიცარია)
მალმიო (შვედეთი)	—	მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
გლენტორანი ან შელბურნი	—	სტიაუა (რუმინეთი)
დინამო მნ ან ანართოსისი	—	ტრაბზონსფორი (თურქეთი)

პირველი მატჩები გაიმართება 26-27 ივლისს, საპასუხოები — 2-3 აგვისტოს

უეფას თასი 2005-2006

I საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

ბანანცი (სომხეთი)	—	ლოკომოტივი (საქართველო)
ბატე (ბელარუსი)	—	ტორპედო (საქართველო)
ბაშკიმი (მაკედონია)	—	ზეპცე (ბოსნია)
ბირკირკარა (მალტა)	—	აპოელი (კვიპროსი)
სანტა ჯულია (ანდორა)	—	რაპიდი (რუმინეთი)
ტეუტა (ალბანეთი)	—	შიროკი ბრიაგი (ბოსნია)
ელბასანი (ალბანეთი)	—	ვარდარი (მაკედონია)
ჰიბერნიანსი (მალტა)	—	ომონია (კვიპროსი)
დომანანო (სან მარინო)	—	დომზალე (სლოვენია)
ფერენცვაროში (უნგრეთი)	—	მტზ-რიპო (ბელარუსი)
ვადუცი (ლიხტენშტაინი)	—	დაჩია (მოლდოვა)
ბაკი (აზერბაიჯანი)	—	ჟილინა (სლოვაკეთი)
მაინცი (გერმანია)	—	მიკა (სომხეთი)
ნისტრუ (მოლდოვა)	—	ხაზარი (აზერბაიჯანი)
ლონგფორდი (ირლანდია)	—	კარმარტენ თაუნი (უელსი)
ეკრანასი (ლიტვა)	—	კორკ სიტი (ირლანდია)
ვესტმანაეიარი (ისლანდია)	—	ბ-36 ტორსჰავნი (ფარერები)
ალიანსი (ფინეთი)	—	პეტანჟი (ლუქსემბურგი)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)	—	ვენტსპილსი (ლატვია)
რუნავიკი (ფარერები)	—	მეტალურგსი (ლატვია)
ეტცელა (ლუქსემბურგი)	—	კეფლავიკი (ისლანდია)
ვიკინგი (ნორვეგია)	—	პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია)
ტვმკ (ესტონეთი)	—	მიუპა (ფინეთი)
რილი (უელსი)	—	ატლანტასი (ლიტვა)
ესბიერგი (დანია)	—	ფლორა (ესტონეთი)

პირველი მატჩები გაიმართება 14 ივლისს, საპასუხოები — 28 ივლისს

ხოსე ლუის მენდილიბარმა „ბილბაოში“ ერნესტო ვალვერდე შეცვალა

მენდილიბარი ბილბაოში უშიშრად მივიდა

ბასკურ „ბილბაოს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს — კლუბის უფროსობამ ერნესტო ვალვერდეს ნაცვლად გუნდი „ეიბარისა“ და „ლანსაროტეს“ ყოფილ თავკაცს, ახალგაზრდა ხოსე ლუის მენდილიბარს ჩააბარა.

„რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ. ვერ შეგპირდებით, რომ გუნდი ჩემი მოსვლისთანავე ევროპული გრანდი გახდება, თუმც ვეცდებით, ყოველ შაბათ-კვირას მეტოქემ მოედანი თავჩაქინდრულმა დატოვოს“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე მენდილიბარმა.

ხოსე ლუის მენდილიბარი კონტრაქტის მიხედვით „ბილბაოში“ სამი სეზონის მანძილზე დარჩება, შემდგომში გახანგრძლივების პერსპექტივით.

„ვიცი, რომ ჩემმა წინამორბედმა ერნესტო ვალვერდემ „ბილბაოს“ დიდი სამსახური გაუწია. ჟურნალისტებმა უკვე მკითხეთ, საპასუხისმგებლო თანამდებობა ხომ არ გაშინებთო. გიპასუხებთ, არანაირ შიშს არ ვგრძნობ, პირიქით, დაბრკოლებებთან შეჭიდება უფრო მაძლიერებს. მოკლედ, გამოწვევას ვიღებ“ — დასძენს ბოლოს მენდილიბარი.

ლადო ხომერიკი

ზიზუ, დარჩი და დაგვპატკბე



ზინედინ ზიდანი 33 წლისაა

ლეგენდარულ ზინედინ ზიდანს მთელს მსოფლიოში გაბნეული ფანები მოედანზე სულ ცოტა, 2007 წლამდე სთხოვენ დარჩენას — გუშინწინ მადრიდის „რეალის“ ფრანგ გამთამაშებელს 33 წელი შეუსრულდა და მის ვებ-გვერდზეც ასეთი გამოკითხვა მოეწყო: დარჩეს თუ არა ზიზუ დიდ ფეხბურთში 2007 წლის 30 ივნისამდე, ანუ იქამდე, ვიდრე „რეალთან“ კონტრაქტი არ დაუმთავრდება.

გამოკითხულთა 89,2 პროცენტმა, რა თქმა უნდა, მისი თამაშით ტკბობა ისურვა, ხოლო ისინი, ვისაც ზიდანი „გულს ურევს“, დიდ უმცირესობაში მოჰყვნენ — სულ 10,8 პროცენტი.

„ქომაგთა ყურადღება ძალიან მსიამოვნებს. მიხარია, რომ ფანებს ჩემი ფეხბურთი ძველებურად მოსწონთ“ — აღნიშნა იუბილარმა.

რაც შეეხება თავად დღეობას, ზინედინ ზიდანს ბევრი სტუმარი არ ჰყოლია. დიდი პომპეზურობა საჭირო არ არისო.

ლადო ხომერიკი



იტალიური ეზოს ამბები

სებასტიან ფრეი „პარმადან“ „ფიორენტინაში“ გადავიდა

მილანის „ინტერმა“ „ჩელსისგან“ ხუან სებასტიან ვერონის კონტრაქტი გამოისყიდა და არგენტინელი ახლა „შავ-ლურჯებს“ ეკუთვნის. მოგეხსენებათ, ვერონმა განვლილი სეზონი მილანურ კლუბში ივარით გაატარა, რობერტო მანჩინიმ კი გუნდის აწყობა მასზე გადაწყვიტა და დაიტოვა.

„ჩვენ ძალიან კმაყოფილები ვართ ამ საქმის მოგვარებით. თავად ფეხბურთელსაც აქ დარჩენა სურდა და კონტრაქტთან დაკავშირებული პრობლემები გადავჭერით“ — განაცხადა „ინტერის“ სპორტულმა დირექტორმა მარკო ბრანკამ.

30 წლის ხუან სებასტიან ვერონი იტალიურ კლუბში 2007 წლამდე დარჩება, მერე კი მისივე თქმით, სამშობლოში დაბრუნდება და ალბათ, „ბოკა ხუნიორსში“ ითამაშებს.

„შავ-ლურჯთა“ თურქმა ნახევარმცველმა ემრე ბელოზოღლუმ კი კარიერის გაგრძელება პრემიერლიგაში ისურვა და 4 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ „ნიუკასლში“ გადავიდა. „ახლა უკვე ნიუკასლელი ვარ და მჯერა, რომ იქაც მაღალ დონეზე ვითამაშებ“ — აღნიშნა ემრემ, რომელიც კვირაში 60 ათას გირვანქას მიიღებს.

სხვამხრივ, იტალიაში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, „პარმას“ მეკარე სებასტიან ფრეიმ გამოიცვალა კლუბი. პარმელებმა ფრანგი „ფიორენტინას“ ერთი წლით დაუთმეს, მომავალ ზაფხულში კი შესაძლოა, სულაც მიჰყიდონ კიდეც. იტალიური მედიის ვარაუდით, ერთი წლის შემდეგ ფიორენტინელი მეკარე კრისტიანო ლუპატელი „პარმაში“ გადავა.

ფლორენციელებმა ფრეის გარდა, არეცოელი მანუელ პასკუალეც დაიმატეს.

ვაჟა ხუციშვილი

მანჩესტერი და ლივერპული ესპანურად

სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწე კარლუშ კეირუშმა მონაჩმახი უწოდა გავრცელებულ ცნობას, თითქოს მაიკლ ოუენი და იკერ კასილიასი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადადიან. პორტუგალიელმა მწვრთნელმა თქვა, ორივე ძალიან კარგი ფეხბურთელია, მაგრამ არც მათ შეძენას ვაპირებთ და არც ლუიშ ფიგუსას, რომელსაც ზაფხულში „რეალთან“ კონტრაქტი უმთავრდებაო: „დიდ პატივს ვცემ კასილიასსა და ოუენს, თუმც „მანჩესტერ იუნაიტედს“ ამ ორი მოთამაშის გადაბირება არ სურს. ლუიშ ფიგუს პროფესიონალიზმშიც დარწმუნებული ვარ და ჯერ კიდევ შეუძლია, ნებისმიერ გუნდში მაღალ დონეზე თამაში, მაგრამ არც მისი ყიდვით ვართ დაინტერესებულნი“.

კარლუშ კეირუშმა მადრიდის „რეალში“ კრისტიანო რონალდოს გადასვლის ამბავიც უარყო: „სამეფო კლუბიდან“ ოფიციალურად ჩვენთვის არავის მოუმართავს“ — აღნიშნა მან.

ამასობაში, ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ლივერპულმა“ თითქმის მოაგვარა ერთი ესპანური ტრანსფერი. რაფაელ ბენიტესს ძალიან მოსწონებია „სევილიას“ ახალგაზრდა ფეხბურთელის, 18 წლის ანტონიო ბარაგანის თამაში. ბარაგანს კლუბთან პროფესიული კონტრაქტი არ აკავშირებს, ამიტომ „ლივერპულს“ მისი გადაყვანა იაფი დაუჯდება.

„სევილიას“ სპორტულმა დირექტორმა რამონ როდრიგესმა ეს ამბავი დაადასტურა: „ბოლო ექვსი თვის მანძილზე ბენიტესი არაერთხელ დაგვიკავშირდა. ჩვენ ბარაგანის შენარჩუნება გვსურდა, მაგრამ მან წასვლა გადაწყვიტა და მის არჩევანს პატივს ვცემთ“.

ვაჟა ხუციშვილი

ანრი აგვისტოში იქნებაო გატეხავს სიტყვას ლაპორტა?



ტიერი ანრის „ბარსელონაში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ

ესპანურ სპორტულ მედიაში ამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო გახშირდა ცნობები ტიერი ანრის „ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლის შესახებ. გუშინდელი „ელ მუნდო დეპორტივო“ გვამცნობს, რომ ლონდონის „არსენალის“ მეგავარსკვლავი კატალონიურ გრანდს აგვისტოში შეუერთდება.

„მიუხედავად იმისა, რომ ხუან ლაპორტამ ოფიციალურად განაცხადა, ზაფხულის სატრანსფერო ორომტრიალში მონაწილეობას მეტად არ მივიღებთო, სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ აგვისტოში ტიერი ანრი „კამპ ნოუზე“ ითამაშებს“ — ვკითხულობით ხსენებულ გაზეთში.

„ტიერი ანრის 2006 წლის მუნდიალისთვის საუკეთესო ფორმაში ყოფნა უნდა, ამას კი მხოლოდ უმაღლესი დონის გუნდში თამაშით შეძლებს. შეუქმნის კი „ლონდონის „არსენალი თავის ფეხბურთელს ამის პირობას? — კითხულობენ ესპანელი ჟურნალისტები.

თავად ანრი კი ამბობს: „ბარსას“ შემოთავაზების შესახებ ყველაფერი ვიცი. კატალონიელებს ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ და „კამპ ნოუზე“ თამაშიც ჩემი ოცნებაა. თუმცა, ახლა „არსენალსა“ და „ბარსელონას“ შორის მოლაპარაკებაზე ვერაფერს ვიტყვი“.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ლაპორტა შარშან ზაფხულსაც ანალოგიურად იქცეოდა — „ბარსამ“ მაშინაც ამცნო თავის ინჩასობას სატრანსფერო ბაზრის დახურვის თაობაზე, თუმც აგვისტოში კატალონიურ გრანდში სამუელ ეტოო გადავიდა.

ხუან ლაპორტას წინ არჩევნები ელოდება და ფაქტია, გუნდში მხოლოდ ვან ბომელისა და სანტი ესკეროს გადაბირებით ფანების გულს ვერ მოიგებს. ქომაგებს გაცილებით მაღალი დონის ვარსკვლავის ხილვა სწყურიათ. „არსენალი“ კი აცხადებს, რომ ანრის მხოლოდ 30 მილიონ ევროდ თუ შეელევა.

მოკლედ, აგვისტოს უნდა დაველოდოთ.

ლადო ხომერიკი

ფიფას კონფედერაციის თასი 2005
გერმანია. 15–29 ივნისი

ნახევარფინალი

გერმანია მკითხაობს
დაიღალა თუ არა ბრაზილია?




ბრაზილიელი კარლოს ალბერტო პარეირა და გერმანელი იურგენ კლინსმანი

უკვე 4 წელიწადია, გერმანია ამაოდ ცდილობს ბრაზილიის, იტალიისა და საფრანგეთის დარი მეტოქის დამარცხებას. 2001 წლის 27 თებერვლის შემდეგ, ბუნდესნაკრები დიდ გუნდებს 13-ჯერ შეხვდა. აქედან ცხრაჯერ წააგო, ოთხი კი ფრედ დასრულა.

იურგენ კლინსმანის შეგირდებს დღეს ნაკისის გატეხვის შანსი აქვთ, გერმანია ბრაზილიას ხვდება და ფეხბურთის ქომაგთ, ცხადია, კორეა-იაპონიაში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გაახსენდებათ — მაშინ იოკოჰამაში, ბრაზილიამ რონალდოს წყვილი გოლით მოიგო. ბუნდესნაკრებს კი დისკვალიფიცირებული მიხაელ ბალაკი აკლდა. ამჯერად რონალდო არ იქნება, კლინსმანისგან გაკაპიტნებული ბალაკი კი ითამაშებს.

ბრაზილიისა და გერმანიის ურთიერთშეხვედრათა ისტორია 1963 წლიდან იწყება. სამხრეთამერიკელებმა მაშინ ჰამბურგში,- 2:1 იმარჯვეს. მას შემდეგ ეს გუნდები კიდევ თვრამეტჯერ გადაეყარნენ ერთმანეთს. „პენტაკამპეონებმა“ ცხრამეტიდან 11 მოიგეს, 3 წააგეს და 5 ფრედ დაასრულეს. გერმანელებმა ბოლოს 1993-ში შეძლეს სამხრეთამერიკელთა დამარცხება. კიოლნურ მატჩში, რომელშიაც კლინსმანმაც ითამაშა, მასპინძლებმა 2:1 მოიგეს. შარშან აგვისტოში კი, ბუნდესნაკრები ბერლინში ამხანაგურად დაუხვდა ბრაზილიას და ფრეს (1:1) დასჯერდა.

ჯგუფში მექსიკასთან მარცხისა და იაპონიასთან 2:2-ის შემდეგ ბრაზილიელების დაღლილობაზე ალაპარაკდნენ.

„ზოგიერთი ფეხბურთელი გამოფიტულია — თქვა კარლოს ალბერტო პარეირამ — კარგად უნდა დავფიქრდე, სანამ მატჩისთვის ძირითად შემადგენლობას შევარჩევ. გერმანელებმა ჩვენზე ერთი დღით მეტი დაისვენეს, თან კლინსმანმა რამდენიმე მთავარ მოთამაშეს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. ისინი მასპინძლები არიან და ეს ყველაფერი მათ წისქვილზე ასხამს წყალს. მიუხედავად ამისა, ტურნირის მოგება გვსურს“.

„ძალიან მძიმე მატჩი იქნება — თქვა ლუსიომ — გერმანიას კარგი ფორვარდები და ნახევარმცველები ჰყავს, რომლებსაც გოლის გატანა ეხერხებათ“.

„ბრაზილია მაინც ფავორიტია — აღნიშნა რონალდინიომ — რადგან ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონები ვართ“.

ფრანც ბეკენბაუერის აზრით: „დაღლილი თამაში გამოვა და ვიმედოვნებ, ოთხ მოვიგებთ. გერმანია ამ ტურნირზე სხვებზე ოდნავ უკეთესად გამოიყურება. 13-მატჩიანი დანაკისული სერიის მერე დიდი გუნდი უნდა დავამარცხოთ და უკეთეს მეტოქეს ვერც კინატრებთ, ბრაზილია ხომ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია. ჩვენს ნაკრებს ყველა პირობა აქვს სავარჯიშოდ და კლინსმანის გუნდი კარგად მოემზადა და კონფედერაციის თასის მოგებას იმსახურებს. მართალია, ბრაზილია დაღლილი მეჩვენება, თუმცა ასი რონალდინიო, კაკა და რობინიო ჰყავთ, ოთხლებსაც ნებისმიერი მატჩის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ. გერმანიამ ერთი დღით მეტი დაისვენა, 42 ათასი ქომაგი ტრიბუნებში დაუდგება და ეს უკვე მნიშვნელოვანი უპირატესობაა“.

„კაიზერ ფრანცს“ ბრაზილიელთა დაღლილობაზე იურგენ კლინსმანი არ დაეთანხმა: „ისინი პროფესიონალი ფეხბურთელები არიან და თითქმის ყოველ 3-4 დღეში უწევთ თამაში. ამიტომ ეს არაფერს ნიშნავს. ბრაზილია ახლა უფრო მეტადაა მოტივირებული, რადგან მექსიკასთან წააგო, იაპონიას ეკრ მოუგო და მათგან გულშემატკივრები ძალიან მოგებას ელიან“.

ვაჟა ხუციშვილი

 დღეს. ნიურნბერგი. „ფრანკენშტადიონი“. 20.00

გერმანია — ბრაზილია

სავარაუდო შემადგენლობები

ლემანი, ფრიდრიხი, ჰუთი, მერტესაკერი, ჰიცლშპერგერი, შნაიდერი, ფრინგსი, შვაინსტაიგერი, ბალაკი, კურანი, პოდოლსკი **მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი	დიდა, სისინიო, ლუსიო, როკე უუნიორი, ჟილბერტო, კაკა, ემერსონი, ზე რობერტო, რონალდინიო, ადრიანო, რობინიო **მწვრთნელი:** კარლოს ალბერტო პარეირა

მსაჯი: ჯარლოს ჩანდია (ჩილე)

რესტორანში გამოგონილი ფეხბურთი
ლავოლპე პეკერ-ბიჭების წინააღმდეგ

ხვალ. ჰანოვერი. „ჰანოვერშტადიონი“. 20.00

მექსიკა — არგენტინა

სავარაუდო შემადგენლობები

ო. სანჩესი, ოსორიო, მარკესი, სალკიდო, ლ. პერესი ლოსანო, მ. მენდესი, გ. პინედა, პარდო, ბორგეტი, ფონსეკა **მწვრთნელი:** რიკარდო ლავოლპე	ლუქსი, კოლოჩინი, სამუელი, სორინი, ძანეტი, კამბიასო, ბერნარდი, ჰაინცე, რიკელმე, სავიოლა, ფიგეროა **მწვრთნელი:** ხოსე პეკერმანი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)



რიკარდო ლავოლპე ვარჯიშებზეც ეწევა

მექსიკის ამჟამინდელი მწვრთნელი, ბუენოს აირესში დაბადებული რიკარდო ლავოლპე ხვალ თვისტომთა ძლევას ეცდება, მისმა ნაკრებმა კი უკვე მიჯრით 20 მატჩია, მარცხის გემო არ იცის.

როდესაც ლავოლპეს მექსიკელთა თავკაცად ნიშნავდნენ, სახელგანთქმულმა უგო სანჩესმა არგენტინელის საწინააღმდეგო არგუმენტები დასტა-დასტა გადმოალაგა, მაგრამ ახლა ხანგრძლივი წაუგებელი სერია ლავოლპეს სასარგებლოდ მეტყველებს.

55 წლის კაცი ცნობილია, როგორც მაგარი მწეველი და კიდევ — იგი არაერთხელ უნახავთ საღამოობით რესტორანში მჯდომი. ზოგიერთი ქართველი მწვრთნელისგან განსვავებით, ყანწყებით კი არ „ხმალაობდა“, არამედ დანა-ჩანგლით და ჭიქა-თეფშებით მაგიდაზე ტაქტიკურ მონახაზებს აკეთებდა.

„ბევრისთვის მოულოდნელად, ჩვენ ნახევარფინალში გავედით. მეტიც, თასის მოგების ფავორიტადაც კი მოგვნათლეს, მაგრამ აქ არიან ბრაზილია და არგენტინა, რომლებიც ყოველთვის მაღალ დონეზე თამაშობენ, რაც არ უნდა დავივიწყოთ. ეს ტურნირი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის უდიდეს გამოცდილებას შეგვძენს. წელიწადის ამ დროისთვის ფეხბურთელები მეტ-ნაკლებად კარგ ფორმაში არიან. ზოგს დასვენება სჭირდება, ზოგიც უკეთ თამაშობს, მაგრამ მთავარია, რომ მათ სამივე ჯგუფურ მატჩში ბოლომდე იბრძოლეს და გარჯა დაუფასდათ“ —განაცხადა რიკარდო ლავოლპემ.

მექსიკელთა მწვრთნელმა ისიც თქვა, ფინალში თუ გავედით, მირჩევნია, გერმანიას შევხვდეთ და სავსე ტრიბუნების თანხლებით ვითამაშოთო. „ჯერ არგენტინას უნდა ვძლიოთ. მსოფლიოში ძალიან ცოტა გუნდია მათზე ძლიერი, მაგრამ გამარჯვების იმედი მაქვს. ასე თუ მოხდა, მაშინ გერმანიასთან შეხვედრას ვისურვებ. ქომაგები სტადიონს გაავსებენ და ძალიან საინტერესო ფინალი გამოვა“.

მექსიკის ნაკრების მეკარე ოსვალდო სანჩესმა საბერძნეთთან ბრწყინვალედ ითამაშა და ამ ტურნირზე იგი ორჯერ დაასახელეს მატჩში საუკეთესოდ: „მე კი მაქებენ, მაგრამ გუნდის მცველებს ნაშრომს ნუ დავუკარგავთ. ჩვენ ხომ სამ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გავუშვით“.

შეგახსენებთ, რომ რიკარდო ლავოლპემ ორი ფეხბურთელი — სალვადორ კარმონა და აარონ გალინდო — დისციპლინის დარღვევის გამო სამშობლოში გააბრუნა, მაგრამ ამით მის გუნდს არ უზარალია. არგენტინასთან მატჩში ძირითად შემადგენლობაში იქნება ბარსელონელი რაფაელ მარკესი. მან ტრავმის გამო იაპონიასთან და ბრაზილიასთან ვერ ითამაშა, მაგრამ საბერძნეთთან შეცვლაზე შევიდა.

„სასიხარულოა, რომ ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ლავოლპეს ტაქტიკას ალღო მალე აუღეს. არგენტინა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, თუმც მზად ვართ მათთან სათამაშოდ. უკვე დიდი ხანია, არ წაგვიგია და არც ვაპირებთ. ჩვენი მიზანი ფინალში გასვლა და ამ ტურნირის მოგებაა. ვფიქრობ, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეგვიძლია“ — აღნიშნა მარკესმა.

არგენტინის ნაკრების მწვრთნელად ხოსე პეკერმანის დანიშვნას, უგო სანჩესის არ იყოს, დიეგო მარადონაც ალმაცერად უყურებდა. მისი საქმე ბავშვების მწვრთნელობაა, დიდ გუნდში ვერაფერს მიაღწევსო, უთქვამს მარადონას. პეკერმანის თავკაცობით არგენტინის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონობა სამჯერ (1995, 1997, 2001) მოიპოვა, რის გამოც გუნდს „ლეგენდარული პეკერ-ბიჭები“ შეარქვეს.

ხოსე პეკერმანს ჯერ კიდევ 1998 წელს შესთავაზეს არგენტინის ნაკრების მწვრთნელობა, მაგრამ იუარა. მის ხელში გამოზრდილმა ხავიერ სავიოლამ კი მექსიკაზე თქვა: „სრული მობილიზება გვჭირდება, რადგან მათი სათამაშო ყაიდა ჩვენისგან ძალიან განსხვავებულია. მექსიკელებს სწრაფი ფეხბურთელები და კარგად ორგანიზებული გუნდი ჰყავთ. ამ ტურნირზე ვნახავთ, თუ როგორ ფორმაშია არგენტინა მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე“.

სამ მატჩში ხუთი გოლის გამშვებ მეკარე ხერმან ლუქსს კი მიაჩნია, რომ ნაკრების დაცვა არც ისე სუსტია, როგორც ამბობენ.

„ეს არაფერს ნიშნავს — განაცხადა ლუქსმა — არგენტინა ყოველთვის ფავორიტია და ამას მექსიკასთანაც დავამტკიცებთ“.

ვაჟა ხუციშვილი

რად უნდათ მდიდრებს კლუბები?

(დასაწყისი წინა „სარბიელში")

დავიწყოთ ყველაზე მარტივი ვარაუდით: ფეხბურთის კლუბის მფლობელს შემოსავლიანი ბიზნესის აწყობა შეუძლია. მართლა ასეა? კინგსტონის უნივერსიტეტის ბიზნესსკოლის პროფესორი ტომ კენნი ამბობს: „ტყუილია, თითქოს ფეხბურთის კლუბით არავის არასდროს კეშოვნოს ფული. ალან შუგარს „ტოტენჰემმა" მისცა შემოსავალი, კენ ბეიტსმა „ჩელსიში" 1 მილიონი გირვანქა ჩადო და 50 მილიონად გაყიდა, ხოლო ედვარდსების ოჯახმა „მანჩესტერ იუნაიტედში" მატანილი თანხის ტრიალით დაახლოებით 100 მილიონი გირვანქა მოიგო".

ვერ მოედავები. მაგრამ, მოდით ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ამ ხალხმა საქმეში ფული ყოველგვარი გარანტიის გარეშე, დიდი საფეხბურთო ბიზნესის ეპოქამდე გაკეთებით ადრე ჩადო. აი, იმის წარმოდგენა კი, როგორ უნდა ამოიღოს რომან აბრამოვიჩმა „ჩელსიში" მხოლოდ გასულ სეზონში ჩადებული 88 მილიონი, უფრო ძნელია.

„აშკარაა, სამ-ოთხი ტურისგან შემდგარ საფეხბურთო ოვენში აბრამოვიჩი ამ ფულის ამოღებას არც აპირებს და საერთოდაც, საეჭვოა იგი ამ ბიზნესიდან ფულის მოგებაზე ფიქრობდეს. ის, ფაქტობრივად, ჯერ ყოფილია „ბლექბერნ როვერსის" უცვლელი შეფი, ოღონდ ათჯერ მსხვილწონიანი. რამდენადაც მე ვხვდები, აბრამოვიჩი ფეხბურთის ნამდვილი ქომაგია და ამ ყველაფერს უყურებს, როგორც ჰობის" — ამბობს სტივენ ჯიმანსკი, თანაავტორი წიგნისა „გამარჯვებულები და დამარცხებულები: ფეხბურთის ბიზნესსტრატეგიის შესახებ".

ახლა კი საკითხი ასე შემოვატრიალოთ — დიახ, აბრამოვიჩი ფანია, მაგრამ რაღაც არა გვგონია, პავშვობაში, საძინებელში, მაინცდამაინც „ჩელსის" ლეგენდის, კერი დიქსონის პლაკატი ჰქონოდა გაკრული.

დომინიკ მიდგლი, ავტორი წიგნისა „აბრამოვიჩი: მილიარდერი არსაიდან", გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მანამდე უცნობ აბრამოვიჩს დასავლეთში სახელის დაგდება დასჭირდა, რადგან ვლადიმირ პუტინისგან ოლიგარქების და ბორის ელცინის ეროგული ადამიანების დევნის საშიშროება იგრძნო. სხვათა აზრით კი, „ჩელსი" რუს მილიარდერს მთელ მსოფლიოში უქმნის საიმედო ბიზნესმენის იმიჯს და შესაბამისად, სხვა სფეროებში ეხსნება ხელ-ფეხი.

გარდა ამისა, მიდგლი ამბობს, რომ აბრამოვიჩს აქვს გეგმა, რომლის თანახმადაც „ჩელსი" ათ წელიწადში მსოფლიო მასშტაბის, ეგრეთწოდებულ ბრენდად უნდა ჩამოყალიბდეს და კონკურენცია გაუწიოს „მანჩესტერ იუნაიტედს". დაგვეთანხმებით, ამბიციური გეგმაა, რაც იმასაც ნიშნავს, რომ მის მიერ აქამდე ჩადებული თანხა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ აისბერგის მწვერვალი აღმოჩნდეს.

„ალბათ, „ბარსელონასთან" თამაშის შემდეგ, „ჩელსი" გარშემო მიმოიხედავს, რადგან „კამპ ნოუს" შემყურე მიხვდება, რომ მისი „სტემფორდ ბრიჯი" ორჯერ პატარაა, მას კი იმ შემოსავლისთვის, რომლის მიღებაც აქვს დაგეგმილი, გაცილებით დიდი ტევადობა სჭირდება" — წერს მიდგლი.



„ჩელსის" და „მილანს" მდიდარი პატრონები ჰყავთ: რომან აბრამოვიჩი და სილვიო ბერლუსკონი

და თუ მაინც უპირატესად „პი არ"-ზეა ლაპარაკი, აბრამოვიჩი სულაც არ იქნება ფეხბურთით კარგი სახელის დაგდების პიონერი. მაგალითად, „მილანის" მეპატრონეს, სილვიო ბერლუსკონის „შავწითელთა" ევროპულმა ტრიუმფმა სულაც არ შეუშალა ხელი პოლიტიკურ კარიერაში და პლუს, იგი მის მედიაკომპანიას მომგებიანი სატელევიზიო უფლებების ხელში ჩაგდებაში დაეხმარა. იგივე შეიძლება ითქვას „იუვენტუსის" მეპატრონე ანიელების ოჯახზე, რომელიც იმავდროულად „ფიატს" უშვებდა და იტალიის მანქანათწარმოებაში უდავო ლიდერიც ბრძანდებოდა.

ესპანეთში, ისეთი კლუბების პრეზიდენტობა, როგორებიცაა „რეალი" და „ბარსელონა", შიდაპოლიტიკურ ძლევამოსილებას ნიშნავს, ვინაიდან იქ პრეზიდენტებს კლუბის წევრები ანუ მასში გაწევრიანებული გულშემატკივრები პირდაპირი გზით ირჩევენ. მეტწილად, არჩევნებს იგებს ის, ვინც ხალხს კლუბში დიდძალი ფულის ჩადებას ჰპირდება. მაგალითად, მთელი დღევანდელი „ელ გალაქტიკო" ფლორენტინო პერესის 2000 წლის საარჩევნო კამპანიის ნაყოფი და შედეგია.

სამწუხაროდ „პიარ" წარმატებამ ბევრ ანგარიშიან ბიზნესმენზე შეიძლება ცუდად იმოქმედოს და საღი გონება დაუბინდოს. აქ გავიხსენოთ, „ლიდს იუნაიტედის" ყოფილი მეპატრონე პიტერ რიდსდეილი, რომელიც გუნდის 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლის შემდეგ, ტელეეკრანიდან არ ჩამოსულა, მაგრამ შემდეგ ფეხბურთელებმა ცუდად ითამაშეს და მოხდა ის, რაც სახელმძღვანელოებშიც კი შეიძლება შევიტანოთ: მოედანზე ბურთის არასასურველი გზით გაგორებამ კოლოსალური ინვესტიციებით აწყობილი ბიზნესის დანგრევა გამოიწვია.

აქვე, აუცილებლად უნდა დავძინოთ ის ამბავიც, რომ ქვეყნად არსებობს უამრავი ნაკლებად პოპულარული კლუბი, რომელთა მეპატრონეობაც ძალიან უმადური საქმეა, რადგან, რაგინდარა სულისკვეთების მიუხედავად, გულშემატკივრებმა ტრიბუნიდან ნებისმიერ წამს შეიძლება გიმღერონ „მთელი შტაბი გასაგდებია". მიზეზი: ფანებს უნდათ შედეგი და შენს დანახარჯებს არ დაგიდევენ.

ხოლო ის იშვიათი კლუბი, რომლის მაგალითი თითქოს ამტკიცებს, რომ ფეხბურთი მომგებიანი საქმეა, ცხადია „მანჩესტერ იუნაიტედი" გახლავთ. მანჩესტერელებმა ავჯობეს ფულის ხარჯვის შიშს და მათმა ქომაგებმაც, მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, დააფასეს ეს დანახარჯი, მაგრამ დადგა დრო, როდესაც გუნდმა მოედანზე წაიფორხილა, ხოლო „ჩელსიში" მიმდინარე პროცესებმა წარმოშვეს საქმის კიდევ უფრო გაუარესების საშიშროება და გამოჩნდა კიდეც მალკოლმ გლეიზერი ზემოხსენებული ქომაგებისთვის ძალიან არასასურველი წინადადებებით.

და მოდით, გავეცნოთ ტომ კენნის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გლეიზერი უკვე გაღებულ ასტრონომიულ თანხას მოგებით დაიბრუნებს, თუნდაც საამისო გზები და მეთოდები ფანებს შეიძლება არ მოეწონოთ.

„იმისთვის, რომ ვალი გადაიხადოს, გლეიზერმა შემოსავალი წელიწადში 60-70 მილიონი გირვანქით უნდა გაზარდოს — ამბობს კენნი — რაც იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ თავისი საკუთარი ტელეგარიგებებით დამატებით 15-20 მილიონს მოიტანს, პლუს აწევს ბილეთების ფასს, მითუფრო, რომ სტადიონის ტევადობის გაზრდასაც აპირებს, გაამკაცრებს კონტროლს სატრანსფერო თანხებზე, შეზღუდავს ხელფასებს და კლუბის ატრიბუტიკით ვაჭრობის გეოგრაფიას გააფართოვებს."

ჯიმანსკის კი გლეიზერზე სხვა აზრი აქვს: „ის ამერიკელია, ამერიკელებს კი არ სწამთ, რომ ევროპულ ფეხბურთში დიდი ფულის შოვნა შეიძლება. მიზეზად ისინი ლიგიდან ლიგაში აღზევებისა და გავარდნის პრინციპს ასახელებენ. მათი აზრით, წარმატებული კლუბი ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრის საშიშროების წინაშე არ უნდა იდგეს. გამოდის, რომ დიდი კლუბები ხარჯავენ ისე, რომ გარანტია არ აქვთ და პატარა კლუბები ხარჯავენ იმიტომ, რათა არ გავარდნენ. შესაბამისად, გამოდის ყოველმხრივი გადახარჯვა და ამიტომ ის, რასაც გლეიზერი უპირველეს ყოვლისა გააკეთებს, ევროპაში ელიტარული, გაკარდნისა და აღზევების გარეშე მოქმედი ლიგის დაფუძნებაში მონაწილეობა იქნება".

ჯიმანსკის მსჯელობა ლოგიკას ეყრდნობა, მაგრამ არის მეორე საკითხიც: ბევრი მიმომხილველი ამ გეგმის განხორციელებას რეალურად არ მიიჩნევს. კერძოდ, თუ ევროპის წამყვანი გუნდები ერთმანეთს ყოველ კვირას შეხვდებიან, ხალხი ინტერესს დაკარგავს. ფეხბურთში ძალიან არის ფეხმოკიდებული ადგილობრივი, შიდაეროვნული ქიშპობა, რასაც უდიდესი ტრადიცია აქვს და მის გარეშე გულშემატკივარს ფეხბურთი უბრალოდ აღარ ენდომება. ამის პასუხად ჯიმანსკი ბრძანებს, რომ **NHL**-ის და ბეისბოლის ამერიკული ლიგების მსგავსად, ევროპულ საფეხბურთო ლიგაშიც იქნება შესაძლებელი შიდარეგიონალური მომენტის შენარჩუნება, პლეი ოფებისკენ მიმავალი მინილიგების შემოღების გზით, მაგრამ უეფას ჩემპიონთა ლიგაში მეორე ჯგუფური ეტაპის ამოღებით, ალბათ თვალნათლივ დამტკიცდა, რომ „ბებერ კონტინენტზე" ზედმეტი ევროფეხბურთი არ უყვართ.

თან, ასეა თუ ისე, მალკოლმ გლეიზერი წესით და რიგით აუცილებლად დადგება იმ რეალობის წინაშე, რომ რომან აბრამოვიჩს უძირო საფულე სატრანსფერო თანხების შეკვეცის საშუალებას არ მისცემს — თუ კონკურენცია უნდა, ფეხბურთელების ყიდვაშიც უნდა აჰყვეს. თუმცა, ზემოხსენებული ტომ კენნი ამ მოსაზრებას მაინც ეკამათება:

„პირიქით, უძლიერესი გუნდები არსენ ვენგერის ტიპის ადამიანებს დაეყრდნობიან. ვენგერმა ხომ ახალგაზრდა ფრანგი ფეხბურთელები გარსკვლავებად აღზარდა და ახლა „ლივერპულში" რაფაელ ბენიტესი აკეთებს იგივეს. მეორე მხრივ, გაიზრდება ფეხბურთელთა ქირაობის რაოდენობა, ალბათ, გაიზრდება თაღლითობათა რიცხვიც. „მანჩესტერსა" და „არსენალს" ჯერ კიდევ ისევ ეჭნებათ უმაღლეს დონეზე თავის დაჭერის შანსი, მაგრამ თუ „ჩელსი" კიდევ ორი სეზონის განმავლობაში განაგრძობს ტრანსფერებზე ასეთი ფულის ხარჯვას, მაშინ მათაც მოუწევთ ბიუჯეტების გაზრდა".

დავბრუნდეთ ესპანეთში, სადაც ერთმანეთთან ჯიბრში მდგომი „რეალისა" და „ბარსელონას" დანახარჯებმა საარაკო რიცხვებს მიაღწია, მაგრამ ფულის ხარჯვაში შეჯიბრება შეიძლება პირიქით, ცუდი გამოდგეს. გავიხსენოთ იტალიური „ლაციო", რომლის შემადგენლობა 90-იანი წლების ბოლოს საინტერნეტო „ფანტაზი ფუტბოლის" მოთამაშეთა გუნდებს დაემსგავსა: ხუან სებასტიან ვერონი, კრისტიან ვიერი, ალესანდრო ნესტა, პაველ ნედვედი... მათ 2000 წელს სკუდეტო მოიგეს, მათმა მოქიშპე თანაქალაქელმა „რომამ" კი ჯიბრით იგივე გააკეთა და 2001 წელს მოიგო სკუდეტო. 2002 წლიდან ერთიცა და მეორეც ისეთ საშინელ ვალებში ჩავარდა, წელში დღესაც ვერ გასწორებულან.

„თუ რომან აბრამოვიჩი 70 მილიონი გირვანქის ხარჯვას ყოველწლიურად აპირებს, ჩვენ მას ვერ შევეჯიბრებით. „ჩელსის" ფულის მანქანასთან ვერაფერს გავხდებით. მეტიც, თუ ასე გაგრძელდება, ვეჭვობ, მთელმა გერმანულმა ფეხბურთმა შეძლოს კონკურენცია" — ეს სიტყვები კი მიუნხენის „ბაიერნის" გენერალურ მენეჯერს, ული ჰონესს ეკუთვნის.

ხოლო „სერვეტის" პრეზიდენტმა მარკ როჟემ ერთ მშვენიერ ზაფხულს 21 ფეხბურთელი იყიდა და გუნდი სულ დაეშალა. ასე რომ, ფეხბურთის კლუბს რომ ყიდულობთ, ან ძალიან მდიდარი ბრძანდებით, ან ძალიან მამაცი ან... ძალიან სულელი. ასეა თუ ისე, გახსოვდეთ — განსაკუთრებით თუ გამდიდრება გაქვთ განზრახული — ფეხბურთის გუნდი, თუნდაც ძალიან კარგად დაფინანსებული, განა მხოლოდ იგებს, მარცხდება კიდეც.

ჟურნალი CHAMPION

სარგებელი ✓ კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		იტალია. სერია B						
		25 ივნისი						
22:30	1	ვიჩენცა-ტრიესტინა	1.80	3.00	4.30	1.12	1.26	1.76
		26 ივნისი						
22:30	190	ტორინო-პერუჯა	2.00	3.00	3.50	1.20	1.27	1.61
		რუსეთი						
		25 ივნისი						
15:00	4	ალანია-ტერეკი	1.90	3.10	3.80	1.17	1.26	1.70
15:00	5	მოსკოვი-ტორპედო	2.25	3.00	2.90	1.28	1.26	1.47
15:00	6	როსტოვი-ცსკა	6.00	3.50	1.50	2.21	1.20	1.04
15:00	8	სპარტაკი-შინიკი	1.45	3.70	6.50	1.04	1.18	2.35
		26 ივნისი						
15:00	7	რუბინი-ზენიტი	2.55	2.90	2.75	1.35	1.32	1.41
15:00	9	ამკარი-კრილია	2.55	2.90	2.65	1.35	1.29	1.38
15:00	10	დინამო-ტომსკი	1.50	3.60	6.00	1.05	1.20	2.25
15:00	11	სატურნი-ლოკომოტივი	3.40	2.90	2.10	1.56	1.29	1.21
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		26 ივნისი						
20:00	12	ოდ გრენლანდი-ბრანი	3.30	3.50	1.95	1.69	1.22	1.25
20:00	13	ჰამარი-მოლდე	1.95	3.40	3.45	1.23	1.24	1.71
20:00	14	ლინი-ალესუნდი	1.60	3.70	5.00	1.11	1.21	2.12
20:00	15	სტარტი-ბოდიო გლიმტი	1.75	3.50	4.30	1.16	1.24	1.92
22:05	16	ლილესტრომ-ფრედრიქსტად	1.70	3.50	4.30	1.14	1.21	1.92
		27 ივნისი						
21:00	17	რუსენბორგი-ვოლერენგა	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81
21:00	18	ვიკინგი-ტრომსიო	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		26 ივნისი						
17:00	21	სკეიდი-ალტა	1.70	3.80	4.00	1.17	1.19	1.94
20:00	22	ფოლო-სოგნდალი	3.00	3.70	1.95	1.65	1.18	1.27
20:00	23	ჰიოდი-ტონსბერგი	2.25	3.60	2.50	1.38	1.18	1.47
20:00	24	კონგსვინგერი-მოსი	2.30	3.50	2.50	1.38	1.19	1.45
20:00	25	ლოვ ჰამი-ჰიონეფოსი	3.00	3.60	1.95	1.63	1.18	1.26
20:00	26	მანდალი-სტრიომსგოდსეტი	2.30	3.40	2.55	1.37	1.20	1.45
20:00	27	პორს გრენლანდი-ბრინი	3.40	3.80	1.80	1.79	1.17	1.22
20:00	28	სანდეფიორდი-სტაბეკი	2.40	3.40	2.50	1.40	1.22	1.44
		შვედეთი. ალსვენსკა						
		26 ივნისი						
19:00	34	ასირისკა-ელფსბორგი	3.00	3.30	2.10	1.57	1.23	1.28
19:00	35	ჰამარბი-გეფლე	1.45	3.90	5.80	1.05	1.15	2.33
		27 ივნისი						
21:00	36	კალმარი-იორგრიტე	1.75	3.40	3.90	1.15	1.20	1.81
21:00	37	ლანდსკრონა-იურგორდენი	3.00	3.40	2.05	1.59	1.21	1.27
21:00	38	მალმიო-ჰეკენი	1.65	3.60	4.50	1.13	1.20	2.00

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი						
		სუპერეტა						
		26 ივნისი						
19:00	47	მიალბი-ფრიოლუნდა	2.15	3.30	2.75	1.30	1.20	1.50
19:00	48	ვესბი-ატვიდაბერგი	2.45	3.30	2.50	1.40	1.23	1.42
19:00	49	ტრელებორგი-ფალკენბერგი	1.60	3.60	4.50	1.10	1.18	2.00
21:00	50	ლიუნგსკილე-ბოდენსი	1.60	3.60	4.50	1.10	1.18	2.00
		27 ივნისი						
21:00	51	აიკ-იოსტერსი	1.55	3.70	5.00	1.09	1.18	2.12
21:00	52	ნორჩიოპინგი-ეაის	2.25	3.30	2.65	1.33	1.21	1.46
		ისლანდია						
		26 ივნისი						
23:15	58	ფრამი-კეფლავიკი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
23:15	59	ფილკირი-ჰაფნარფიორდური	3.20	3.10	2.00	1.57	1.23	1.21
23:15	60	გრინდავიკი-თროტური	1.80	3.40	3.60	1.17	1.20	1.74
		27 ივნისი						
23:15	61	ვალური-რეიკიავიკი	1.60	3.60	4.60	1.10	1.18	2.01
		აშშ						
		25 ივნისი						
23:45	72	ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი	1.95	3.10	3.40	1.19	1.23	1.62
23:45	73	კანზასი-ჩივასი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
23:45	74	კოლორადო-დალასი	2.75	3.10	2.25	1.45	1.23	1.30
23:45	75	სან ხოსე-ლოს ანჯელესი	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
		26 ივნისი						
23:45	76	ჩიკაგო-სოლტ ლეიკი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13

CROCO BOOKMAKERS

ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS

ტელეკრედიტი

TELCREDIT

10 42 00 24

+%

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		არგენტინა						
		25 ივნისი						
23:00	80	ხიმნასია-ნიუელხი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
23:45	85	სან ლორენსო-ლანუსი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
		26 ივნისი						
23:45	78	ბოკა ხუნიორსი-კილმესი	1.75	3.50	3.70	1.16	1.18	1.79
22:30	79	კლუბიარგენტინოს ხუნიორსი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
22:30	81	ერეკანი-ინსტიტუტო	4.50	3.50	1.60	1.96	1.18	1.09
23:45	82	ინდეპენდიენტე-არსენალი	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44
22:30	83	ოლიმპო-ალმაგრო	1.55	3.60	5.30	1.08	1.19	2.14
22:00	84	როსარიო-რივერ პლეიტი	1.80	3.20	3.80	1.15	1.22	1.73
22:00	86	ველეზი-ესტუდიანტესი	1.65	3.30	4.50	1.10	1.20	1.90
		ბრაზილია						
		25 ივნისი						
23:00	88	ქუვენტუდი-პონტე პრეტა	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
23:00	89	პარანა-ატლეტიკო მნ	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
23:45	90	ფლამენგო-ბრაზილენსე	1.60	3.40	4.70	1.08	1.19	1.97
23:45	91	სან პაულუ-ინტერნასიონალი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
		26 ივნისი						
23:00	87	ბოტაფოგო-ფიგეირენსე	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
23:00	92	სან კაეტანო-სანტოსი	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44
23:00	93	გოიასი-კურიტიბა	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:00	94	კორინთიანსი-ფლუმინენსე	1.90	3.30	3.30	1.20	1.20	1.64
23:45	95	კრუზეირო-ვასკუ და გამა	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
23:45	96	ატლეტიკო პრ-ფორტალესა	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
23:45	97	პაისანდუ-პალმეირასი	1.85	3.30	3.50	1.18	1.21	1.69
		ურუგვაი						
		25 ივნისი						
22:30	100	მირამარი-სერიტო	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
22:30	102	პენიაროლი-უინდერერსი	1.45	3.70	5.80	1.04	1.15	2.25
22:30	106	ტეკუარემბო-კოლონია	1.45	3.70	5.80	1.04	1.15	2.25
		მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოლანდიაში(20)						
		25 ივნისი						
17:30	188	ჰოლანდია-ნიგერია	1.55	3.50	5.20	1.07	1.19	2.09
22:30	189	ესპანეთი-არგენტინა	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47
		ინტერტოტოს თასი						
		25 ივნისი						
18:00	112	ლისბერნი-ჟალგირისი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
21:00	116	გენტი-ბოჰემიანი	1.35	3.90	7.50	1.00	1.14	2.56
22:45	123	დრავა-სლავენი	2.30	3.20	2.65	1.33	1.23	1.44

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		26 ივნისი						
19:30	111	დუბნიცა-ვაშაში	1.70	3.30	4.20	[illegible]	[illegible]	1.84
19:00	126	დინაბურგი-ბანგორი	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
19:00	127	ვეტრა-კლუჟი	2.20	3.30	2.65	1.32	1.20	1.46
20:00	129	აკრანესი-ინტერი ტურკუ	2.70	3.20	2.25	1.46	1.22	1.32
20:00	131	ზლინი-ნემანი	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
		კონფედერაციის თასი						
		25 ივნისი						
20:00	185	გერმანია-ბრაზილია	2.90	3.10	2.30	1.49	1.28	1.32
		26 ივნისი						
20:00	186	არგენტინა-მექსიკა	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92

ჩოგბურთი

უიმბლდონი კაცები

25 ივნისი

15:00	593	გასკე-მიულერი	1.20 / 3.80
15:00	594	კორია-მელცერი	1.60 / 2.20
15:00	595	მირნი-ნოვაკი	1.40 / 2.85
15:00	596	პოპი-ტურსუნოვი	1.65 / 2.20
15:00	597	იოჰანსონი ტ-ტიპსარევიჩი	1.15 / 5.00
15:00	598	ნალბანდიანი-მიურეი	1.35 / 2.90
15:00	599	გროსჯანი-ჯოკოვიჩი	1.20 / 4.10

ჩოგბურთი უიმბლდონი ქალები

25 ივნისი

15:00	600	პეტროვა-ბლეკი	1.15 / 4.90
15:00	601	დეში-ბონდარენკო	1.25 / 3.70
15:00	602	შარაპოვა-სრებოტნიკი	1.04 / 8.50
15:00	603	ვ.უილიამსი-ხანტუხოვა	1.20 / 3.80
15:00	604	ივანოვიჩი-პერსი	1.65 / 2.05
15:00	605	დანილიდუ-პენეტა	1.45 / 2.65
15:00	606	ს.უილიამსი-კრეიბასი	1.10 / 6.50
15:00	607	მარტინესი-პეშკე	1.35 / 2.85

ფრენბურთი.კაცები. მსოფლიო ლიგა.

25 ივნისი

17:00	180	ბრაზილია-იაპონია	1.04 / 9.00

ფრენბურთი.კაცები. ევროლიგა.

25 ივნისი

18:00	181	რუსეთი-ფინეთი	1.05 / 6.00
18:00	182	ესტონეთი-გერმანია	2.10 / 1.50
18:00	183	ჩეხეთი-ესპანეთი	1.35 / 2.80

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12185	გერმანია-ბრაზილია	1.90	1.70
12186	არგენტინა-მექსიკა	1.70	1.90

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15185	გერმანია-ბრაზილია	3.00	2.80	2.00
15186	არგენტინა-მექსიკა	3.00	2.80	2.00

ლუჩი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუჩად)

		ლუჩი	კენტი
17185	გერმანია-ბრაზილია	1.85	1.95
17186	არგენტინა-მექსიკა	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14185	გერმანია-ბრაზილია	2.00	1.70
14186	არგენტინა-მექსიკა	1.40	2.30

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11185 გერმანია-ბრაზილია	4.5	10.0	20.0	5.3	4.4	4.4	20.0	10.0	3.1
11186 არგენტინა-მექსიკა	2.0	10.0	20.0	3.5	4.6	9.0	20.0	10.0	6.5

შრეს გარეშე (ძირ დრო)

16185	გერმანია-ბრაზილია	1.85	1.60
16186	არგენტინა-მექსიკა	1.30	2.30

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13185	გერმანია-ბრაზილია	1.70	1.90
13186	არგენტინა-მექსიკა	1.70	1.90

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10185	გერმანია-ბრაზილია	3.30	2.00	2.70	1.24	1.48	1.14
10186	არგენტინა-მექსიკა	2.15	2.00	4.50	1.03	1.45	1.38

NBA PLAY OFF 2005 ფინალი



AFP სან ანტონიოდან

ტიმ დანკანის შეჩერებას დეტროიტელები ამაოდ ეცადნენ

„დეტროიტ პისტონსმა“ ვერ მოახერხა ნბა-ს ერთ-ერთი მყარი ჩვეულების დარღვევა და ჩემპიონობა „სან ანტონიოს“ დარჩა. ამ ჩვეულების თანახმად, ჯერ არც ერთ გუნდს არ მოუგია 7-მატჩიანი ფინალური სერიის ბოლო ორი შეხვედრა სტუმრად და ეს ვერც დეტროიტელებმა შეძლეს. „სან ანტონიომ“ სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი, ამერიკელებისვე ენაზე თუ ვიტყვი, სუპერფინალი, ერთი ამოსუნთქვით მოუგო „დეტროიტს“ და ბოლო შვიდ წელიწადში მესამედ იპირველა.

ფინალური სერიის დასაწყისში, როცა „სფურზმა“ საწყისი საშინაო მატჩები მოიგო, ბევრი დეტროიტელთა განადგურებაზე ალაპარაკდა. თუმც მოქმედი ჩემპიონი საკადრისად ათამაშდა და მომდევნო მატჩებში თავისი მრისხანება გამოაჩინა. „პისტონსის“ თავკაცმა ლარი ბრაუნმა თითქოს ეფექტურ ანტივირუსს მიაგნო ტიმ დანკანისა და მანუ ჯინობილისგან თავდასაცავად — სერიაში ანგარიში გაათანაბრა და გადამწყვეტი შეხლის წინაც სიმპათიის უმეტესი ულუფა თავად ირგუნა.

ამ განსხვავებულ საკალათბურთო სტრატეგიის მიმდევარ გუნდებს შორის თითქოს გამარჯვებული უკვე შუა სერიაში გამოვლინდა, როცა ერთ მუჭად შეკრულმა და დაცვის დიდოსტატმა „დეტროიტმა“ ლამის 4 მატჩი მიჯრით მოუგო მეტოქეს. იმ ოვერტაიმში წაგებულ შეხვედრას, რითაც „პისტონზი“ 2:3 ჩამორჩა, ალბათ კიდევ დიდხანს გაიხსენებენ მიჩიგანელები.

ის ავბედითად წაგებული მატჩი რომ არა, დეტროიტელები სან ანტონიოში სერიის ლიდერებად ჩავიდოდნენ და ორიდან ერთი მოგება მათ ჩემპიონობას შეუნარჩუნებდა, მაგრამ...

AFP სან ანტონიოდან

ემანუელ ჯინობილი დანკანზე არანაკლები გმირია

SAN ANTONIO SPURS

სან ანტონიო 4:3 დეტროიტი

24 ივნისი. სან ანტონიო. ესპისი სენთერი. 18 797 მაყურებელი

PISTONS

დანკანის დაკა-დაკა

სან ანტონიომ დეტროიტი დააქვეითა

სან ანტონიო 81:74 დეტროიტი

18:16 20:23 19:18 24:17

სან ანტონიო: პარკერი (8), ჯინობილი (23), ბოუენი (5), მოჰამედი, დანკანი (25 ქულა, 11 მოხსნა); ჰორი (15), ბერი (5), ბრაუნი

დეტროიტი: ბილაფსი (13), ჰამილტონი (15), პრინსი (9), რ. უოლესი (11), ბ. უოლესი (12); მაკდაიესი (10), ჰანტერი (4), ჰემი, დუპრი, კემბელი

სტრატეგიათა დუელი მაინც ინდივიდუალიზმმა, ლიდერის ძლევამოსილებაზე ბრმად მინდობამ მოიგო. „სან ანტონიომ“, რა თქმა უნდა, გუნდური სულისკვეთებით გაიმარჯვა და ამაში თითეულ მოედანზე ფეხშედგმულ მოთამაშეს მიუძღვის წვლილი, მაგრამ „სფურზში“ არის დუეტი, რომელიც ყველა დანარჩენზე მაღლა დგას და ამ ორეულიდანაც შეიძლება ერთის გამორჩევა.

ტიმ დანკანი ის საძირკველი გახლდათ, რომელზეც გრეგ პოპოვიჩმა „სან ანტონიოს“ ჩემპიონობა ააშენა. კიდევ იყო არნახულად სასარგებლო და მრავალმხრივი მანუ ჯინობილი, მაგრამ „სფურზის“ მთელი ილაჯი ტიმ დანკანზე გადიოდა. ტიმი ფარმაცევტის სიზუსტით თამაშობდა სამწამიანში და თავისი ზორბა ტანით მეურვეებს ჯარიმებით ხუნძლავდა.

მართალია, იყო ეპიზოდი, როცა დანკანმა მიჯრით 9 ტყორცნა გააცუდა, მაგრამ პოპოვიჩი მას მაინც ბოლომდე ენდო. სხვა გზა არც ჰქონდა, უნდა მინდობოდა, რადგან ტეხასელთა დანარჩენი მაღლები — ნაზრ მუჰამედი, ანაც რობერტ ჰორი აუცილებლად დაიჩაგრებოდნენ შლეგივით მოთამაშე უოლესებისგან.

რაშიდ და ბენ უოლესის დუეტი „დეტროიტის“ დაცვის გარანტს წარმოადგენს, ხოლო დანკანმა ამათ თავიდანვე ჯარიმები აჰკიდა და სწორედ ეს გახდა გარდამტეხი ამ მატჩში.

სანამ რაშიდ უოლესი თამაშიდან გავარდნის საფრთხის გამო სათადარიგოებში გადაჯდებოდა, მოედანზე თანაბარი თამაში გახურდა. გუნდები კუდში მისდევდნენ ერთმანეთს და პირველ ტაიმში ერთმაც ვერ მოახერხა თუნდაც 5-ქულიანი უპირატესობის მოპოვება. დიდ შესვენებაზე „დეტროიტი“ ქულიანი ლიდერობით გავიდა და იქიდან მობრუნებულზე დაიწყო სწორედ კატაკლიზმები.

დანკანმა 9 ტყორცნა გააცუდა მიჯრითო, რომ ვთქვით, სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა. უოლესებმა მოახერხეს ანტონიოელთა არქილიდერის გაბაწვრა, ხოლო ბენმა შეტევაშიც ისახელა თავი. მან „დეტროიტის“ მიჯრით სამი შეტევა დააგვირგვინა ჩატენვით, იქით ანტონიო მაკდაიესმაც გამოიღო ხელი და მესამე მეოთხედის შუაწელში სტუმრები 48:39 დაწინაურდნენ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დეტროიტელებს ეს განავარდება რაშიდ უოლესის მე-4 პერსონალურად დაუჯდათ. მისმა მოგვარე ბენმა კი მესამე შენიშვნა მიიღო და ბრაუნმა ორივენი მოედანს ვერ ასცილა. აი, აქ დადგა დანკანის ჯერი და საცოდავი „დეტროიტიც“ განწირული შესაქერეოდა სახელოვნიელთა ჯერ წამოწევას და მერე გალიდერებას. თუმც სტუმრებმა მოახერხეს და ბოლო შესვენების წაუგებლად გავიდნენ — 37:37.

გადამწყვეტი თორმეტწუთიანი თითქოს მშვიდობიანად დაიწყო. მაგრამ „სან ანტონიოს“ უპირატესობა მალევე გამოიკვეთა. ეს ჯინობილის აზვირთებამ გამოიწვია, რომელიც სამქულიანებსაც აგდებდა. ბილაფსიც არიგებდა და დეტროიტელთა სამწამიანშიც გაინავარდებდა ხოლო ბრაუნმა ვერ მოახერხა ერთიანად შებოჭვა ამ ორი სუპერვარსკვლავისა, რომლებმაც ერთ ეპიზოდში ერთმანეთს სუპერჩარჩოებიანად გაუგეს — სამჯერ წარმატებით გაითამაშეს კომბინაცია და საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე „სფურზი“ 72:65 დაწინაურდა.

ეს არ იყო გამარჯვება, მაგრამ ის მალე მოვიდა. ბრიუს ბოუენმა ჩონსი ბილაფსის იმ სამქულიანს დააფარა, რომლის ჩავარდნის შემთხვევაში „დეტროიტი“ 3 ქულამდე შეამცირებდა ჩამორჩენას. მერე კი ჯინობილიმ საბოლოოდ ცელი გამოუსვა ჩემპიონებს და თავისი გუნდი თასს ჩაახუტა.

ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის საპატიო ბრიზი, რა თქმა უნდა, ტიმ დანკანს ერგო, რომელიც კი ამბობდა, ამ ტიტულს ჩემს გუნდში არაერთი მოთამაშე იმსახურებდაო, მაგრამ ამას ალბათ უფრო ზრდილობის გულისთვის ლაპარაკობდა... ყველამ კარგად დაინახა, რომ „სან ანტონიოს“ ჩემპიონობამ უპირველესად დანკანის კუნთმაგარ ბეჭებზე გადაიარა.

ირაკლი პერტაია

ტერი ტეროში

მილუოკი და ფაჩულია უმწვრთნელოდ დარჩნენ

ზაზა ფაჩულია ახლახან ამბობდა, „მილუოკის“ მწვრთნელი ტერი პორტერი კარგი თვალით მიყურებს, ჩემს შესაძლებლობებში დარწმუნებულია და კარგია, რომ ის გუნდში დარჩაო. ამით ზაზა იმედს გამოთქვამდა, რომ „მილუოკისგან“ ახალ კონტრაქტს დაიმსახურებდა და დიდი შანსია, ასეც მოხდეს, მაგრამ...

გუშინწინ ტერი პორტერი გაათავისუფლეს. „მილუოკის“ გენერალურმა მენეჯერმა ლარი ჰარისმა გადაწყვიტა, რომ გუნდის აქამდე აღებული გეზი, რომელმაც პლეი ოფამდე ვერ მიიყვანა, შეცვალოს.

„მე და პორტერის შეხედულებები თვისობრივად არ განსხვავდებოდა, მაგრამ მას არ უნდოდა იმ მოთამაშეთა აყვანა, ვისაც მე ვურჩევდი“ — განაცხადა ჰარისმა.

„მილუოკის“ მენეჯერი იქვე განმარტავს, რომ ეს გამვება არაა დაკავშირებული მომავალ დრაფტთან. არის ვარაუდი, რომ თითქოს ჰარისი და პორტერი იმაზე ვერ შეთანხმდნენ, თუ ვინ აერჩიათ დრაფტზე პირველ ნომრად.

„პორტერი არ დარჩება უმუშევარი, ის აუცილებლად მონახავს კარგ გუნდს“ — გაამხნევა ჰარისმა ყოფილი კოლეგა.

საკუთრივ პორტერი თურმე შოკში ყოფილა „მილუოკის“ უფროსობის გადაწყვეტილებით და ამერიკელ ჟურნალისტებთანაც არ საუბრობს ამ თემაზე.

ირაკლი პერტაია



ტერი პორტერი

უიმბლდონი 2005

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 10 085 510 გირვანქა სტერლინგი

მესამე წრე

კაცები	ქალები
ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 7:6 (7:5) 6:4 7:5; ფელისიანო ლოპესი (26, ესპანეთი) — მარატ საფინი (5, რუსეთი) 6:4 7:6 (7:4) 6:3; ტაილორ დენტი (2, აშშ) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 6:3 7:6 (7:5) 6:3 ენდი როდიკი (2, აშშ) — დანიელე ბრაკიალი (იტალია) 7:5 6:3 6:7 4:6 6:3	ამელი მორეზმო (3, საფრანგეთი) — შენეი პერი (აშშ) 6:0 6:2; სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (27, ჩეხეთი) 5:7 7:6 (7:5) 2:6; ელენა დემენტიევა (6, რუსეთი) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 7:5 6:1; ელენა ლიხოვცევა (13, რუსეთი) — სილვია ფარინა ელია (22, იტალია) 5:7 6:4 6:4



AFP ლონდონიდან

მარატ საფინმა ფიცი გატეხა და უიმბლდონიდან კვლავ დაიფრინეს

ფიცი გვწამს, ბოლო...

ფელისიანო ლოპესი ერთი იმ გამორჩეულ ესპანელთაგანია, ვინაც უკანახანიდან მომქანცველ ბრახუნს მძლავრი მოწოდების კვალდაკვალ ბადესთან მიჭრასა და იქ ჩაუქობას არჩევს. სწორედ ამისა და კიდევ მისი ცაციობის გამოც ივარაუდებოდა, რომ ისედაც მუხლმტკივან მარატ საფინს — მიუხედავად ბოლოდროინდელი ჩინებული საბალახსაფრო გარჯისა — მასთან ბურთაობა მეტისმეტად უნდა ვასჭირვებოდა. ასეც მოხდა — 25 წლის რუსი, ვინაც წინა შეხვედრებში დამაჯერებლად დაიქნია პარადორნ შრიჩაფანი და მარკ ფილიპუსისი, აგრესიულად და გონივრულად მოქმედი ლოპესის წინაშე კვლავ ისეთი უმწეო და აჭრილი იყო, როგორც შარშანდელი უიმბლდონობის პირველ წრეში, საიდანაც თვისტომ დმიტრი ტურსუნოვის მიერ ოტებულმა მერე დაიფიცა კიდეც, აქ ჩემი ჩოგანი აღარასოდეს გაიქნევაო. ლოპესმა შეხვედრას ლაგამი თავიდანვე ამოსდო და ბოლომდე ისე უნარიანად იშრომა, რომ გასასაჩივრებელი მეტოქისთვის აღარაფერი დაუტოვებია. ამ მარცხის შემდეგ რუსთა ყოჩი ერთი თვით მუხლის სამკურნალოდ იუქმებს და კორტს ალბათ ჩრდილოამერიკული მაგარსაფრობისას დაუბრუნდება.

სერენას კოჭი კოჭავს

უიმბლდონობის ორგზის (2002-03) ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტი სერენა უილიამსი ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე აღიარებდა, რომ სასურველი ფორმისგან ერთობ შორს იყო, პირველ ორ მატჩში კი — ჯერ თანაკომპატონელ ანჯელა ჰეინსის, ხოლო მერე არანაკლედ უსახელო იტალიელ მარა სანტანჯელოს წინააღმდეგ — უკვე საბოლოოდ ცხადყო, რომ მისი ტურნირამდელი განცხადებები უბრალოდ დაბოლება და თავის დაზღვევის მცდელობა კი არა, ფაიზაღი რეალობა გახლდათ. მისი ასეთი უფორმობის მიზეზი — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — კოჭის ტრავმაა, რამაც მას ავსტრალიის ღია პირველობაზე გალაღების შემდეგ ჩოგნის ბარაქიანად გაქნევის საშუალება არ მისცა და არცთუ საუიმბლდონოდ მიატოვა ნორმალური მოსამზადებელი პროცესის ჩავარჯიშება

— თქვენ ამ შეხვედრაშიც დათმეთ პირველი სეტი, მერე კი ისევ იმძლავრეთ. აშკარაა, რომ კოჭი ისევ გაწუხებთ. უფრო დაწვრილებით ხომ ვერ გვეტყოდით, რა პრობლემა გაქვთ — მყესია დაშავებული თუ ძვალი ან კიდევ რამე სხვა...

— ეს უფრო ძვლის ამბავია. თავიდან ყოველთვის მიჭირს ხოლმე, მერე ნელ-ნელა ვეჩვევი და ის რაღაც მურტალი შეგრძნებაც ქრება.

— ეს მალე მოგირჩებათ თუ მთელი ტურნირი გამაყუჩებლებით მოგიწევთ თამაში?

— ახლა სწორედ ტკივილის გადალახვით ვთამაშობ.

— კი მაგრამ, ექიმები რას ამბობენ?

— ამბობენ, რომ ძვალი მცირედ გაბზარულია და რომ ეს ადრე თუ გვიან გაიელის. ვნახოთ, ჯერ-ჯერობით ისევ მაწუხებს და შიგადაშიგ ისე წამომივლის, მტრისას.

— თქვენ ერთხელ თქვით, უიმბლდონამდე ოთხი კვირა ჩოგანი არ გამინძრევიაო. ნუთუ საერთოდ არ გივარჯიშიათ?

— დიახ, არაფრის გაკეთება არ შემეძლო. აქ წამოსვლაც უკანასკნელ მომენტში გადავწყვიტე, მაშინ, როცა უკვე თვითმფრინავისთვის უნდა მიმესწრო. აქ რომ ჩამოვედი, კაცურად გავივარჯიშე და, რადგანაც ისეთი ტკივილი არ მქონია, ცოტა შევგულიანდი კიდეც.

— თქვენს ამჟამინდელ ფიზიკურ ფორმას პროცენტული თვალსაზრისით როგორ შეაფასებდით?

— სიმართლე გითხრათ, ძალიან არც ახლა დავღლილვარ და არც წინა მატჩის დროს. ცხადია, საუკეთესო ფორმაში მართლაც არა ვარ, მაგრამ ჩოგბურთი 60, 70 პროცენტით მენტალური ამბავია. ასე რომ, თუკი გინდა მუდმივად პროგრესირებდე და წინ მიდიოდე, პრობლემებზე მაღლა დადგომაც უნდა შეგეძლოს.

— ბოლოჯერ დიდი მუზარადის რომელ ტურნირზე ითამაშეთ თქვენი ფორმის პიკზე მყოფმა, როცა არაფერი გაწუხებდათ და ჩოგნაობა სიამოვნებას განიჭებდათ?

— სწორედ ასე იყო წლეულს ავსტრალიაში.

— თქვენ დიდი მუზარადის შვიდ ტიტულს ფლობთ. ალბათ იმასთან ერთად, რომ უიმბლდონი თქვენთვის წარმატებული ალაგია, ესეც გეხმარებათ, საკუთარ ძალებში მუდამ დარწმუნებული რომ იყოთ და რაგინდარა ხიფათიდან თავის დაძვრენა შეძლოთ?

— აქამდე, მგონი, არც კი გამიაზრებია, რომ უკვე შვიდი ტიტული მაქვს. ეს არც ისე ურიგოდ ჟღერს. თუმცა, ბუნებრივია, უფრო მეტი მინდა. ისიც უეჭველია, რომ დიდ მოგებები და იმის შეგრძნება, რომ ამდენი რამ მოგიგია, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

— მაინც, რამდენ დიდ ტიტულს გინდათ, რომ ფლობდეთ?

— ამის თქმა არ შემიძლია.

— მაინც, 22, 24? ამდენი, შესაბამისად, შტეფისა და მარგარეტ კორტს მოუგიათ.

— მარგარეტსა და ბილი ჯინ კინგს ალბათ ვეღარავინ გაედავება. საამისოდ უბრალოდ არც გამძლეობა მეყოფა და არც მოთმინება. ამდენი რომ მოვიგო, ერთი ოცი წელი კიდევ უნდა ვითამაშო, რაც, ჰალალად რომ ვთქვა, ვერც კი წარმომიდგენია.

რაფა ნადალი: „მაინც ვიუიმბლდონებ!“

AFP ლონდონიდან

— რა ისწავლეთ დღევანდელი მატჩიდან?

— რა მოხდა?

— რა ისწავლეთ-მეთქი?

— უბრალოდ ის მოხდა, რომ მან დღეს არაჩვეულებრივად ითამაშა, მე კი ჩემი შანსები ვერ გამოვიყენე. ცოტა იღბალმაც მიმტყუნა. თუმცა ჯამში მან ჩემზე ნაღდად უკეთესად ითამაშა. ეგ იყო და ეგ.

— ეს ის იყო, რისაც თქვენ გეშინოდათ? აკი თავადაც ამბობდით, რომ თიხნართან შესადაგებული სათამაშო ყაიდის ბალახისთვის მორგება ასე უცებ გაგიჭირდებოდათ?

— ჩემი აზრით, ბალახზე ურიგოდ არ მითამაშია. თავს ამ საფარზეც საკმაოდ კომფორტულად ვგრძნობდი. მიულერი დღეს უბრალოდ მთელი მატჩის განმავლობაში საუცხოოდ აწოდებდა და განსხვავებაც სწორედ ამან განაპირობა.

— თავად მიულერმა ნამატჩევს თქვა, რომ თქვენი თამაშიდან გამომდინარე ანუ იმის გამო, რომ თქვენ მძლავრი მოწოდების მერე ბადესთან თამაშს არ ცდილობდთ, თქვენ ვერასოდეს მოიგებთ უიმბლდონს.

— ცხადია, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ განსავითარებელი მაქვს, მაგრამ ასეთი ტენდენცია უკვე სახეზეა და ბევრ რამეს უკვე გაცილებით უკეთ ვაკეთებ, ვიდრე ეს ადრე შემეძლო. საგაისოდ ბალახისთვის აუცილებელ სათამაშო ელემენტებს კიდევ უფრო დავხვეწ და დარწმუნებული ვარ, მეორე წრეზე შორსაც გავალ. მე არ უარვყოფ, რომ მოწოდებაც დასახვეწი მაქვს და ბადესთან თამაშიც. საამისოდ, კარგად მომზადება და ბალახზე უფრო ხშირად გამოსვლა მჭირდება.

— თქვენ ცენტრალურ კორტზე უფრო ხოშიანად გამოიყურებოდით, ვიდრე პირველზე. ხელი იმან ხომ არ შეგიშალათ, რომ დღეს ცენტრალური კორტიდან ჰენმან-ტურსუნოვის თამაშის ხმაური მოდიოდა?

— არა მგონია, ამის ბრალი იყოს. ჩემთვის სულ ერთია, ცენტრალურ კორტზე ვითამაშებ თუ 31-ეზე.

— გადაწყვეტილი გაქვთ, უახლოეს მომავალში რას გააკეთებთ თუ ჯერ ამაზე არ გიფიქრიათ?

— ჯერ არ ვიცი. ახლა, ცოტა არ იყოს, დაღლილი ვარ, რაკიღა ბოლო პერიოდში გაუთავებლად კორტზე ყოფნა მიხდებოდა. თითქმის ყოველდღე მიწევდა თამაში. ასე რომ, ახლა გამოთიშვა მჭირდება. „გამოთიშვა“ სწორი სიტყვაა, არა? ჰო, გამოთიშვა მჭირდება, რათა ელემენტები ხელახლა დავტვინო.

— თქვენი ინგლისური თვალსა და ხელს შუა უმჯობესდება?

— ყოველდამე ორ-ორ საათს ვმეცადინეობ ხოლმე (იცინის).

— სერიოზულად, მასწავლებელთან დადიხართ თუ მეჩოგნეებთან ურთიერთობისას იტეხავთ ენას?

— ჩემი ყველაზე კარგი გაკეთილი ის არის, ყოველი მატჩის მერე 20, 30 წუთის განმავლობაში თქვენთან ღადავი რომ მიხდება.

— ზაფხულში რას გეგმავთ? გნახავთ თუ არა ამერიკის მაგარსაფრიან კორტებზე?

— ალბათ, ერთი კვირა ჯერ მალიორკაზე დავისვენებ. მერე რვისთვის ბასტადში უნდა ვიყო. მერე ერთი კვირა დასვენება და — შტუტგარტი, უმაგი, მონრეალი, ცინცინატი, მერე კიდევ ერთი კვირა დასვენება და ისევ — აშშ-ის ღია პირველობა, ჩინეთი, დევისის ციასი და ასე შემდეგ.

P.S. ამას პრესკონფერენციაზე ესპანურენოვან ჟურნალისტთა კითხვები მოჰყვა, რომლებიც — ისევე როგორც ნადალის პასუხები მაოზე — არაფრით განსხვავდებოდა ჩვენს მიერ ზემოთ გადმოქართულებული ინტერვიუსგან. ჩვენი ყურადღება მხოლოდ ნადალის ერთმა ფრაზამ მიიპყრო: „ამიერიდან სიკვდილამდე ჩემი უმთავრესი მიზანი სწორედ უიმბლდონის მოგება იქნება.“

ჩვენ გვჯერა, რომ ადრე თუ გვიან ამ ამბავს უსათუოდ მოვესწრებით.

ჯერ დასვენება. მერე არჩევნები



გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში სამბისტები შეიკრიბნენ და ნახევარი წლის ნამუშევარი შეაჯამეს. ფედერაციის პრეზიდენტმა და ამავდროულად ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იაძემ პირველ რიგში თავისი შეგირდების უახლესი წარმატება ახსენა, მერე ევროპის ჩემპიონატი გაიხსენა და პრიზიორებთან ერთად მათი მწვრთნელები ფულადი პრემიებით დააჯილდოვა. ბოლოს ფედერაციისა და ეროვნული გუნდის სამომავლო გეგმებსაც შეეხო.

— რამდენად ძნელი მოსასმენიც არ უნდა იყოს, ფაქტია, ჩვენი მასმედიასთან შეხვედრისას უმთავრესი სასაუბრო თემა ფინანსური სიდუხჭირეა — გვითხრა იაძემ — სამწუხაროდ, მდგომარეობა ჯერაც არ გამოსწორებულა. სამბოს ყურადღება სჭირდება და თუ მხარდაჭერას ვიგრძნობთ, ამით არა მარტო სამბო, არამედ ძიუდოც და მთლიანად ქართული სპორტი მოგებული დარჩება. ყველა გვეუბნება, რომ მეტის ღირსნი ვართ, მაგრამ მარტო სიტყვა რა ნუგეშია.

...მიუხედავად იმისა, რომ მედლებს სტაბილურად, ყველა ტურნირზე ვიღებთ, იმ 14 პრიორიტეტულ სპორტის სახეობაში მაინც არა ვართ, სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება რომ უნდა მიექცეს. სამბისტებს ხომ დასამტკიცებელი თითქმის აღარაფერი დაგვრჩა. აგერ, მოსკოვში მიმდინარე დსთ-სა და ბალტიისპირა ქვეყნების ახალგაზრდულ თამაშებზე ექვსი მედალი მოვიპოვეთ და გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ რუსეთს ჩამოვრჩით. ეს ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლაა. იმედია, ახლა მაინც მოგვაქცევენ ყურადღებას.

...ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს გარდა სამი მედალი წლეულს მარტო მოჭიდაველებმა მოიპოვეს, მაგრამ თუ მათი სამივე ბრინჯაო აიღეს, ჩვენი მონაგარი ორი ბრინჯაო და ერთი ვერცხლია. ეს უბრალოდ შედარებისთვის ვთქვი, თორემ მართლა არავის ვეჯიბრებით. ყველანი ქართულ საქმეს, საქართველოს ვემსახურებით.

...ახლა ერთთვიანი არდადეგები გვეწყება. ივლისის შუა რიცხვებში დაბრუნდებით და ახალ პრეზიდენტს ავირჩევთ. უკვე გვყავს რეალური კანდიდატი. ძალიან გავლენიანი კაცია და ერთ-ერთ სამინისტროში მაღალი თანამდებობა უჭირავს. ამ ეტაპზე მეტად აღარ დავკონკრეტდები, მე კი არჩევნების ჩატარებისთანავე მთლიანად ჩემს საქმეზე გადავერთვები და უკეთ მივხედავ. 20 ივლისიდან ბიჭებს შეკრებ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პირველ შეკრებას დავიწყებთ.

ოთარ მალლაკელიძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ევროპის გუნდთა ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი. 17 ივნისი - 3 ივლისი

VI ტური

მლადენ პალაცი (ხორვატია)	0,5:0,5	ბაადურ ჯობავა (საქართველო)
ბართოლომეო მაჩეია (პოლონეთი)	0:1	ლევან ფანცულაია (საქართველო)
ანტონ შომოევი (რუსეთი)	0:1	ზვიად იზორია (საქართველო)
მიხეილ მჭედლიშვილი (საქართველო)	0,5:0,5	ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა)
ვალერიან გაფრინდაშვილი (საქართველო)	0:1	იგორ კურნოსოვი (რუსეთი)
მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო)	1:0	ბიოერნ ბენტე (გერმანია)
დავით მაღალაშვილი (საქართველო)	0,5:0,5	ბეატა კაზიოლკა (პოლონეთი)

ფანცულაიამ 2002 წლის ევროპას მოუგო

მეექვსე ტურის შემდეგ 5,5 ქულით ცხრილის სათავეში 33 წლის შვეიცარიელი ვადიმ მილოვი მოექცა. მან მასპინძელთა მთავარ იმედ მიხეილ კრასენკოვს თეთრი ფიგურებით მოუგო და უახლოეს სამ მდევარს 0,5 ქულით გაუსწრო.

ეს ტური წარმატებული გამოდგა ქართველი მოჭადრაკეებისთვის. ჩვენმა ბიჭებმა შვიდი პარტიიდან სამი მოიგეს, სამიც ყაიმით დაასრულეს და ერთი წააგეს.

მოგებულთაგან ყველაზე მეტად გამოსაყოფია ლევან ფანცულაიას გამარჯვება ევროპის 2002 წლის ჩემპიონთან, მასპინძელ ბართოლომეო მაჩეიასთან. მათი პარტია საკმაოდ დაძაბული გამოდგა, თუმც 19 წლის ქართველმა გამოცდილ მეტოქეზე უფრო ზუსტი სვლები გაიკეთა და შავი ფიგურებით სძლია.

ახლა ფანცულაიას 4,5 ქულა აქვს და დამატებითი მაჩვენებლებით ცხრილში მე-16 ადგილზეა.

ლაზა გეგეჭკორი

ლაჰნომ მოლდოვადან ოქრო წამოიღო

ევროპის ძალთა ჩემპიონატი

კიშინიოვი. მოლდოვა. 10 - 25 ივნისი

XII ტური

ელიზაბეტ პეტი (გერმანია)	0,5:0,5	ნინო ხურციძე (საქართველო)
ტატიანა კოსინცევა (რუსეთი)	0,5:0,5	მაკა ფურცელაძე (საქართველო)
მაია ლომინეიშვილი (საქართველო)	0,5:0,5	ალმირა სკრიპჩენკო (საფრანგეთი)
ქეთევან არახამია — გრანტი (საქართველო)	1:0	ხიდონია ვაუდა (უნგრეთი)
ნანა ძაგნიძე (საქართველო)	0,5:0,5	ია ნა ბელნიკოვა (რუსეთი)
ნატალია ხრიხორენკო (უკრაინა)	0:1	ლელა ჯავახიშვილი (საქართველო)
ანა მათნაძე (საქართველო)	1:0	დარია ჩაროშკინა (რუსეთი)
თამარ წერეთელი (საქართველო)	0,5:0,5	კატერინა როხონიანი (უკრაინა)
სოფი მილიეტი (საფრანგეთი)	1:0	სოფიო გეგეჭკორი (საქართველო)



კატერინ ლაჰნო

ევროპის მეექვსე ჩემპიონი 17 წლის უკრაინელი კატერინ ლაჰნო გახდა. მან ტაი-ბრეიკებში სამი წლით უფროს რუს ნადეჟდა კოსინცევას 2:0 მოუგო. მისი მთავარი კონკურენტი ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ჩემპიონის გამოსავლენად რეგლამენტით გათვალისწინებული 12 ტური არ აღმოჩნდა საკმარისი. ბოლო ტურში ცხრილის ლიდერებმა ლაჰნომ და კოსინცევამ თავიანთ მეტოქეებთან ყაიმებით დაასრულეს პარტიები და ამიტომაც გადამწყვეტი ბრძოლა ტაი-ბრეიკებში გაგრძელდა.

პირველ მატჩში თეთრი ფიგურები რუსს ერგო. მეტოქეებმა თავიდანვე მხედარ-პაიკები გამოიყვანეს წინ, ერთმანეთის დალაშქვრას შეუდგნენ და ჯარის უმეტესი ნაწილი ხელმწიფის ფლანგზე შეყარეს. იერიში კოსინცევამ წამოიწყო და მხედრით მეტოქის ტერიტორიაზე შეიჭრა. ლაჰნომ ადვილად მოიგერია მტერი, საპასუხოდ კი ლაზიერ-კუს წყვილი თეთრი მეფის გამაგრებულ ალაგს მიაახლოვა და 39-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია. ჩემპიონობისთვის ლაჰნას მომდევნო მატჩში ყაიმიც ჰ ყოფნიდა, თუმც ახალგაზრდა უკრაინელმა აქაც იყოჩაღა და 37-ე სვლაზე ოქროს გამარჯვება იზეიმა. ქართველ მოჭადრაკეებს ბოლო ტურში ჩემპიონობის შანსი დაკარგული ჰქონდათ, მაგრამ მაინც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეებს.

მათგან გამოსარჩევია 17 წლის მაკა ფურცელაძე, რომელიც რეიტინგით პირველ ნომერ რუს ტატიანა კოსინცევას შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში ქულა გაუყო.

ლაზა გეგეჭკორი

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი

ალექსანდრე (ალეკო) ბოკუჩავა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება კვირას 3 საათზე ჭადრაკის სასახლიდან

მძლეოსანმაც იძალა

ერთი ვერცხლის და სამიც ბრინჯაოს მედალი! — ასეთია საქართველოს წარმომადგენელთა გუშინდელი მონაგარი მოსკოვის ოლქებში მიმდინარე საერთაშორისო ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში, რომელშიც დსთ-ს, ბალტიისპირეთის, ჩინეთისა და სინგაპურის 4000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს. ჩვენი სპორტსმენებიდან ვერცხლის მედალი მოიპოვა ძიუდოისტმა გიორგი შოშიაშვილმა (66კგ), ხოლო მისმა თანაგუნდელმა გიორგი მჭედლიშვილმა (73) ბრინჯაო დაიმსახურა.

განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ ამ შეჯიბრებაში ჩვენმა მძლეოსანმაც იძალა — ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მამუკა ტულუშმაც. მან ამ წარმატებას ბირთვის კვრაში მიაღწია (18,78 მეტრი).

საერთო კომპლექსურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს დელეგაცია, რომელსაც გუშინდელი მონაცემებით 19 მედალი აქვს (5 ოქრო, 6 ვერცხლი და 8 ბრინჯაო) რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსის წარმომადგენელთა შემდეგ კლავ მეოთხე ადგილზეა.



არტურ გატი და ფლოიდ მეიველერ უმცროსი

ბრძოლა ბრძოლამდე

ორი ჩხუბი ერთი ქამრის გამო

ამბობენ, რომ ხვალ არტურ გატისა და ფლოიდ მეიველერ უმცროსის ორთაბრძოლა WBC ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად ამ ზაფხულის მთავარი საკრივო მოვლენა იქნებაო. ეს ორთაბრძოლა ლამის წინასწარ გაიმართა გუშინწინ, როცა ატლანტიკ სიტიში ამ ორი მოკრივის პრესკონფერენცია უნდა ჩატარებულიყო

თავდაპირველად ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ პრესკონფერენცია ორივესთვის ცალ-ცალკე გაემართათ, მაგრამ სპორტსმენებმა ამგვარი გეგმები თავდაყირა დააყენეს. საქმე ის იყო, რომ ჩემპიონმა გატიმ პრესკონფერენციაზე მისვლა მთელი ერთი საათით დააგვიანა, მეიველერი კი, ვინც ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია, პირიქით, ნახევარი საათით ადრე გამოცხადდა.

მეიველერმა დაინახა თუ არა თავისი მომავალი მეტოქე, უმალ ტანზე პერანგი შემოიხია და ხტუნაობა დაიწყო, თან ყვიროდა და მუშტებს იქნევდა. ამის შემხედვარე გატიმ ერთი ლაზათიანად შეუკურთხა მეტოქეს, რაც სიტყვიერი შეხლა-შემოხლით გაგრძელდა.

საქმეში ჩაერია WBA-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ვიკიან ჰარისიც და ატყდა ერთი ვაი-უშველებელი. ის იყო ეს გამიშვი-დამიჭირე მუშტი-კრივში უნდა გადაზრდილიყო, რომ უშიშროების სამსახურის თანამშრომლებიც შემოცვივდნენ და რის ვაი-ვაგლახით დააშორეს მოკრივეები ერთმანეთს.

ამ რია-რიას დაწყებამდე პრესასთან გასაუბრება სულ რამდენიმე სიტყვით მხოლოდ გატიმ მოასწრო. მან თქვა, რომ წონასთან დაკავშირებით პრობლემები მაწუხებდაო. იგი თურმე თავისი წონითი კატეგორიის ნორმებთან შედარებით 4 კილოგრამით მძიმე ყოფილა.

ამასობაში ფლოიდ მეიველერ უმცროსი, რომელსაც დღემდე ერთი მარცხიც კი არ უწვნევია, სულაც არ ეჭვობს თავის კიდევ ერთ გამარჯვებას:

„აბა, როგორ უნდა მაჯობოს არტურ გატიმ? ის რინგზე ძლივს დაღოღავს, თან ყავარივით გაფშეკილია. ჩემი მიზანია, რომ ჩემპიონებს ჩემპიონის ქამრები ავართვა მე ეს გავაკეთე პირველ მსუბუქ წონაში და იქ ყველანი მიგებენ. ამავეს გავაკეთებ მსუბუქ წონაშიც. როცა გატის იმ ქამარს წავართმევ, მერე საბრძოლველად პირველ ქვესაშუალო წონაში უძლიერეს კოსტია ცზიუს გამოვიწვევ ჰატონსაც ზედ მივაყოლებ და ყველა დანარჩენსაც“...

ფლოიდმა ისიც თქვა, რომ მისი უახლოესი მიზანი სამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობაა, რის მერეც წონის შეცვლას გავაგრძელებ.

„მე არ მინდა, რომ მომდევნო რეტ ლეონარდი გავხდე. არ მინდა ვიყო შემდეგი მოჰამედ ალი. მე მინდა ვიყო პირველი მეიველერი“, — თქვა მეიველერმა.

ასე რომ, ეს ორი მოკრივე ეჩუყობა, არ მოგვაწყენს.

ავთანდილ ბყვიშელი

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲜᲓᲒᲐᲠᲓᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲨᲔ ᲥᲕᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠ...



AFP ლოსანჯელესიდან



AFP კოლორადოდან

ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ

ლეგენდარული ზეკი თავაწეული ტოვებს გერმანიას. მისმა გაწვრთნილობამ იაპონიის ნავრებმა ხომ კონფედერაციათა თასზე ჯერ ევროჩემპიონს საბერძნეთს მოუგო, მერე კი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ბრაზილიას სენსაციური ფრე გაუგორა. ამის მიუხედავად, იაპონელებმა ნახევარფინალს ვერ უწიეს და ახლა ზეკის ცოლისთვის მოუცლია, ფოტოზე რომ ქალი ჩაუბღუჯავს, მისი ერთგული თანამეცხედრე სანდრაა.

ᲓᲐᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲗᲐᲥᲐᲚᲔᲑᲘ

ამ ინდოელმა ჯარისკაცებმა ამას წინათ საარაკო საქმე ჩაიდინეს — მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ევერესტი დალაშქრეს. ინდოთა თავდაცვის მინისტრ პრანაბ მუკერჯის ქვეშევრდომი დიაცნი თავისთან უწვევია და, თქვენ ასახელეთ ქვეყანაო, ქებად დაღვრილა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ეს ქალთა პირველი ექსპედიცია იყო, ევერესტის წვერს რომ უწია.

AFP დელიიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია გაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახალბედიანი, ვალერი დარეულია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხიჩერიკი, კაკა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელეურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge